კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№17 (1607) 4 — 10 მაისი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ადამიანები, რომლებმაც საკაკაშვილის ციხის ჯოჯოხეთი გამოიარეს

„ბორჯომის“ გასხვისების სკანდალური დეტალები

რა ელით „ბორჯომში“ დასაქმებულებს და რას სთავაზობს პოლიტიკაში ახლადფეხშემოდგმული ყოფილი ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე ხელისუფლებას

„სიტუაცია ბოლომდე უნდა დაჭაობდეს“

ვის დაუჭერს ამომრჩეველი მხარს, არჩევნები მომავალ კვირას რომ ჩატარდეს – როგორ აფასებს არჩილ გამზარდია IRI-ის ბოლო კვლევას

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ექსკლუზიური ინტერვიუ მამასთან, რომლის შვილიც ბაბუას გაუპატიურებაში ადანაშაულებს

„ჩემს ყოფილ მეუღლეს ჰყავს მფარველი... ეს საქმე „შეკერილია“!

„ბორჯომის“ გასხვისების სკანდალური დეტალები

მაკა რუხაძე

რა ელით „ბორჯომში“ დასაქმებულებს და რას სთავაზობს პოლიტიკაში ახლადფეხშემოდგმული ყოფილი ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე ხელისუფლებას

29 აპრილიდან, კომპანიამ „IDS ბორჯომი საქართველო“, დროებით შეაჩერა წარმოების პროცესი. მიზეზი რუსეთის უკრაინაში შეჭრაა, რაც კომპანიის წარმომადგენლებმა, საკუთარ განცხადებაშიც ახსნეს. პრობლემა ისაა, რომ კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტს რუსეთის უმსხვილესი ფინანსური კონგლომერატი – „ალფა ჯგუფი“ ფლობს. თავის მხრივ, „ალფა ჯგუფის“ მთავარი აქციონერები პუტინთან დაახლოებული ოლიგარქები – მიხაილ ფრიდმანი, ალექსეი კუზმიჩევი, გერმან ხანი და პეტრე ავენი არიან. მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, „ალფა ჯგუფის“ აქციონერი ოლიგარქები აშშ-ის, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა და მოკავშირეების სანქცირებულთა სიაში მოხვდნენ, მათი საბანკო ანგარიშები კი გაიყინა. „ალფა ჯგუფი“ ამ კომპანიაში აწ გარდაცვლილმა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა შემოიყვანა, ხოლო ბადრი პატარკაციშვილი, თავისი კომპანია „სალფორდ კაპიტალით“, 2000-იანი წლების დასაწყისში დაეუფლა ბორჯომის აქციებს, რომელიც მამუკა ხაზარაძისგან იყიდა... 2006 წელს, რუსული ემბარგო „ბორჯომსაც“ შეეხო, მოგვიანებით – 2008 წელს, პატარკაციშვილის მემკვიდრეებსა და ბერეზოვსკის შორის, „სალფორდის“ აქტივების გამო, სასამართლო დავა დაიწყო.

სწორედ ამ პერიოდში, გაზეთში „ვერსია“ ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა, რის გამოც „ბორჯომის“ წარმომადგენლებმა გაზეთის მფლობელსა და მთავარ რედაქტორს ქვეყნის მოღალატე უწოდეს... არადა, გასხვისების დეტალებთან ერთად, სტატიაში უმთავრესი და მარტივი კითხვა დაისვა – როგორ, რის სანაცვლოდ და რა მიზნით აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი ქართული პროდუქტი რუსი ბიზნესმენის ხელში? ბადრი პატარკაციშვილის აქტივების რეალური მფლობელი რომ ბორის ბერეზოვსკი იყო, ეს მისი გარდაცვალების შემდეგ აშკარად გამოჩნდა. მოკლედ, გაზეთი „ვერსია“ თავიდანვე წინააღმდეგი იყო „ბორჯომის“ გასხვისებით და კომპანიის ქართველ მფლობელებს სთავაზობდა, აქციები საწარმოში დასაქმებულებისთვის გადაეცათ, რაც მამუკა ხაზარაძეს დღეს ერთადერთ, რეალურ გამოსავლად მიაჩნია, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

როგორ მოხვდა „ბორჯომი“ რუსი ოლიგარქების ხელში

დავიწყოთ „IDS ბორჯომი საქართველოს“ 29 აპრილს გავრცელებული, ოფიციალური განცხადებით, სადაც კომპანიის წარმომადგენლები იმ მიზეზებს ხსნიან, რის გამოც წაროება დროებით შეჩერდა:

„გაცნობებთ, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის ძირითად ბაზრებზე შექმნილ რთულ ვითარებას დაემატა საბანკო ანგარიშებზე შეზღუდული წვდომა, რამაც კომპანიას ჩაუკეტა სავალუტო შემოსავლების მიღებისა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების შესაძლებლობა. კომპანია დღემდე სიტუაციის არსებითი გამოსწორების იმედით აგრძელებდა ფუნქციონირებას, რაც სამწუხაროდ, ამ დრომდე ვერ მოხერხდა. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანია იძულებულია, ა/წ 29 აპრილიდან, ბორჯომის ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში დროებით შეაჩეროს წარმოების პროცესი. იმედს ვიტოვებთ, რომ ვითარება უახლოეს მომავალში გამოსწორდება და მოგვეცემა ფუნქციონირების განახლების შესაძლებლობა“.

როგორც სტატიის დასაწყისში გითხარით, „IDS ბორჯომი საქართველოს“ აქციების მფლობელია მიხაილ ფრიდმანი და პარტნიორებთან ერთად, მის მიერ, ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს დაფუძნებული „ალფა ჯგუფი“. მიხაილ ფრიდმანი რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქეა, რომლის ქონება 16.1 მილიარდი აშშ დოლარია.

საქართველოს დამოუკიდებლობის 30-წლიან მანძილზე, „ბორჯომის“ მფლობელები რამდენჯერმე შეიცვალნენ. 1990-იან წლებში, კომპანიის პრივატიზაციის შემდეგ, მისი დამფუძნებელი პარტნიორი ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე იყო, ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისში, აქტივის მართვაში შევიდა ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაფუძნებული Salford Capital Partners. 2002 წელს, დაფუძნდა კომპანია „IDS ბორჯომი International“ და სწორედ ამ დროს, მმართველობით დონეზე, „ბორჯომი“ და უკრაინული წყლის ჩამომსხმელი კომპანიების კონსოლიდაციაც დაფიქსირდა. მეტიც, „IDS ბორჯომი საქართველო“ უფრო დიდი კონგლომერატის IDS ბორჯომი International-ის ნაწილია, რომელიც აერთიანებს „IDS ბორჯომი-უკრაინას“, „IDS ბორჯომი-რუსეთს“, „IDS ბორჯომი-ბელარუსს“ და „IDS ბორჯომი Europe-ს, რომლის ოფისიც ლიტვაში მდებარეობს, კონგლომერატში კი 7 000 ადამიანი მუშაობდა.

2006 წელს, კომპანიამ ბაზარზე ახალი ბრენდები – „ლიკანი“, „მიტარბი“ და „ბაკურიანი“ გამოუშვა. ამავე წელს, მინერალური წყლების მწარმოებლის მთავარი ბაზარი – რუსეთი დაიხურა, მაგრამ პრობლემები ამით არ დასრულებულა. გამომდინარე იქიდან, რომ ბადრი პატარკაციშვილს სხვადასხვა მიზეზის გამო, საკუთარი ქონება მყარად დასაბუთებული და დამტკიცებული არ ჰქონდა, მისი გარდაცვალების შემდეგ, ეს აქტივები დავის საგნად იქცა. 2008 წელს, ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის მემკვიდრეებს შორის, „სალფორდის“ აქტივებთან დაკავშირებით, სასამართლო დავა დაიწყო, რომელიც 2012 წლის სექტემბერში, მხარეების მორიგებით დასრულდა. სადაო აქტივები, მათ შორის, „IDS ბორჯომი“ ბერეზოვსკიმ ოფიციალურად, პატარკაციშვილის ოჯახს დაუთმო. 2012 წლის დეკემბრის ბოლოს, ოჯახისა და ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელის, ირაკლი რუხაძის (განკარგავდა პატარკაციშვილის ქონების ნაწილს) გადაწყვეტილებით, კომპანია რუსული „ალფა ჯგუფის“ ხელში მოხვდა...

მას შემდეგ, რაც კომპანიამ წარმოება შეაჩერა, კომპანიაში რამდენიმე ასეული დასაქმებული უმუშევრობის საფრთხის ქვეშ დადგა – რუსეთ-უკრაინის ომის გამო, საქართველოს სტრატეგიული ქვეყნების ორ უმსხვილეს ბაზარზე, გაყიდვები ჩავარდა. 2021 წელს, რუსეთში – 14.4 მილიონი აშშ დოლარის, ხოლო უკრაინაში – 6.7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქართული მინერალური და მტკნარი წყალი გაიყიდა.

„ამერიკის ხმის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს გარდა, „IDS ბორჯომი International-ის საკუთრებაშია კიდევ ექვსი ქარხანა უკრაინასა და რუსეთში. „ბორჯომის“, „ლიკანის“, „მიტარბისა“ და „ბაკურიანის“ ბრენდების გარდა, მასვე ეკუთნის ცნობილი უკრაინული ბრენდები – „Моршинська“, „Миргородська“ და „Трускавецька“, ასევე ცნობილი რუსული ბრენდები – „Святой источник“ და „Эдельвейс“.

უკრაინაში ომის დაწყებამდე, „IDS ბორჯომი International“-ის მინერალური და მტკნარი წყლები მსოფლიოს 40 ქვეყანაში იყიდებოდა. კომპანიას რუსეთის ბაზრის 12% ეკავა. „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, ბოლო წლებში, „ალფა ჯგუფის“ აქციონერები „IDS ბორჯომი International“-ის გაყიდვას ცდილობდნენ. თუმცა, მაღალი ფასის გამო, მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, ისეთ ტრანსნაციონალურ გიგანტებთან, როგორებიცაა „Nestle“ და „Coca-Cola“.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, 2022 წლის მარტში, როცა „ალფა ჯგუფის“ აქციონერები, პუტინთან დაახლოებული რუსი ოლიგარქები სანქციების ქვეშ აღმოჩნდნენ, უკრაინულ მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, თითქოს, მიხაილ ფრიდმანი მზად იყო, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივისთვის, ინა გუდავაძისთვის „IDS ბორჯომი-უკრაინა“ ფორმალურად გადაეცა და ამ ნაბიჯით, უკრაინაში აქტივების ნაციონალიზაცია აეცილებინა თავიდან. კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი – მართალია, 2012 წლის შემდეგ, „ბორჯომის აქციები“ პატარკაციშვილის ოჯახმა ფრიდმანს მიჰყიდა, მაგრამ „სელფორდ კაპიტალის“ ფონდის საშუალებით, ინა გუდავაძე და გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის სხვა წევრები, ამ დრომდე, „IDS ბორჯომის“ მინოტარულ აქციონერებად რჩებიან.

„IDS ბორჯომი International“-ი, ოფიციალურად, კვიპროსის ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული და ორი ჩამომსხმელი ქარხნის გარდა, IDS Borjomi Beverages Co. N.V-ის საშუალებით, საქართველოში, ბორჯომის მინერალური წყლის ჭაბურღილებიდან წყლის მოპოვების 25-წლიან ლიცენზიასაც ფლობს. საკუთრებაში არსებული სამი ჭაბურღილიდან, კომპანიამ წლის განმავლობაში, 365 000 კუბური მეტრი წყალი უნდა მოიპოვოს.

დასასრული მე-3 გვერდზე

„ბორჯომის“ გასხვისების სკანდალური დეტალები

მე-2 გვერდიდან

„ბორჯომის“ ისტორია

ქართულ „ვიკიპედიაში“ ბორჯომის ისტორიაცაა შეტანილი. ირკვევა, რომ ბორჯომის მინერალური წყაროები ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში ყოფილა აღმოჩენილი. ამაზე მეტყველებს მე-20 საუკუნეში აღმოჩენილი ქვის შვიდი აბაზანა. როგორც ჩანს, იმ დროს, ბორჯომის წყალს მხოლოდ დასალევად კი არა, აბაზანებისთვისაც იყენებდნენ. ბორჯომში მოპოვებული არქეოლოგიური მასალით მტკიცდება, რომ მინერალური წყალი გამოიყენებოდა მე-16 საუკუნის ბოლომდე. ნაპოვნია შუა საუკუნეების თიხის მილები, რომლებიც ბორჯომის ზოგიერთ წყარომდე იყო მიყვანილი. მე-16 და მე-18 საუკუნეებში, ხშირი ომების შედეგად, დიდი ხნის განმავლობაში, წყაროების არსებობა მიივიწყეს, ხოლო ის ადგილები, სადაც ეს წყაროებია, მიატოვეს.

ბორჯომის წყლის „მეორე ცხოვრება“ მე-19 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. კერძოდ, 1829 წელს, ბორჯომში განლაგებულა ხერსონის ტყვიამფრქვეველთა პოლკი. ერთხელ, ჯარისკაცებმა ტყეში, მდინარე ბორჯომულას მარჯვენა ნაპირზე, მინერალური წყარო იპოვეს. პოლკოვნიკი პოპოვი დაინტერესებულა ამ ამბით, ამიტომ წყაროს გაწმენდა და ჭურჭლით მისი ზიდვა უბრძანებია პოლკში. თურმე, პოლკოვნიკს კუჭის წყლული აწუხებდა და წყალი იმდენად მარგებელი აღმოჩნდა მისთვის, რომ გადაწყვიტა, წყარო ქვით შემოეზღუდა. იქვე ააშენებინა აბანო და პატარა სახლი თავისთვის.

1837 წელს, ხერსონის პოლკი ტყვიამფრქვეველთა ქართულმა პოლკმა ჩაანაცვლა. პოლკის ექიმმა, ამიროვმა წყლის შემადგენლობის გამოკვლევა და მისი ზემოქმედების შესწავლა დაიწყო. მანვე გააგზავნა წყლის პირველი სინჯები სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. 1841 წელს, ბორჯომის მინერალური წყალი უკვე იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ კავკასიის მთავარმართებელმა, ევგენი გოლოვინმა თავისი სნეული ქალიშვილი ბორჯომში ჩაიყვანა სამკურნალოდ. უცნობია, კონკრეტულად რა დაავადება აწუხებდა, თუმცა ფაქტია, რომ წყალმა არგო, რის გამოც, ბორჯომის მინერალური წყლის პირველ წყაროს გოლოვინმა ქალიშვილის სახელი – Екатерининский უწოდა.

1846 წელს, კავკასიაში ახლადდანიშნულმა მეფისნაცვალმა, მიხეილ ვორონცოვმა ბორჯომი თავის საზაფხულო რეზიდენციად აქცია და ქალაქის კეთილმოწყობაც დაიწყო: ამ დროს აშენდა სახლები, აბანოები, ეკლესიები, სასტუმროები. 1850 წელს, გაშენდა მინერალური წყლების პარკი, ხოლო 1854 წელს, პირველი ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობაც დაიწყეს. სამხედრო ლაზარეთის აფთიაქარმა, ზახაროვმა ჩამოასხა მინერალური წყალი 1300 ცალ ოვალურ, ნახევარლიტრიან ბოთლებში და თბილისში გასაყიდად წაიღო.

1862 წელს, კავკასიაში მეფისნაცვლად დაინიშნა დიდი თავადი, მიხეილ რომანოვი, რომელმაც ვორონცოვის მსგავსად, საზაფხულო რეზიდენცია ბორჯომში მოიწყო. იმ დროისთვის, ამბავი ბორჯომის სამკურნალო თვისებების შესახებ, უკვე რუსეთის მთელ იმპერიას მოედო. ბორჯომში შენდებოდა ახალი სასახლეები, პარკები, სკვერები, სასტუმროები. 1894 წელს, ხაშურიდან ბორჯომამდე რკინიგზაც გაიყვანეს, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მიმოსვლა. მანამდე, ბორჯომში ცხენიანი ფაეტონებით ჩადიოდნენ, თბილისიდან ბორჯომამდე გზას 8-9 საათი სჭირდებოდა.

1894 წელს, მიხეილ რომანოვმა დაიწყო მინერალური წყლების პარკში ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა, რომელმაც მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე იარსება. 1896 წელს, ბორჯომში გაიხსნა შუშის პირველი ქარხანა, სადაც 1950 წლამდე, ბოთლებს ხელით ამზადებდნენ.

1900 წელს, ბორჯომში, მივლინებით ჩავიდა ქიმიკოსი მოლდსენგაუერი, რომელმაც ბოთლში ჩამოსხმული წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესანარჩუნებელი მეთოდი შეიმუშავა. სწორედ მისი იდეა იყო, მინერალური წყლის ნახშირბადის დიოქსიდით გაზირება, რამაც მწარმოებლებს საშუალება მისცა, რომ წყალი საზღვარგარეთ, ექსპორტზე გაეტანათ.

1904 წელს, „ბორჯომის“ წარმოების ნაწილობრივი მექანიზაცია დაიწყო, კერძოდ, თუ შუშა ხელით მზადდებოდა, ბოთლებს უკვე მექანიზებული წესით ასხამდნენ. ამავე წლით თარიღდება საგაზეთო განცხადება, სადაც საუბარია მინერალური წყლის – „ბორჯომის“ ვაგონებით გაყიდვაზე. წარმოების მექანიზაციამ მოიტანა დიდი წარმატება: თუ 1854 წელს, მხოლოდ 1350 ბოთლი ბორჯომი გავიდა ქარხნიდან, უკვე 1905 წელს, მისი რიცხვი 320 000 ბოთლამდე გაიზარდა, ხოლო 1913 წლისთვის – 9 მილიონსაც კი გადააჭარბა. ამავე პერიოდში, ბორჯომმა საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა: დიპლომი ქალაქ სპაში, ბელგიაში – 1907 წელს; ოქროს მედალი ყაზანში, რუსეთში – 1909 წელს; საპატიო დიპლომი დრეზდენში, გერმანიაში – 1911 წელს.

საბჭოთა პერიოდში, ბორჯომი უკვე სტალინის საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა, ხოლო კრემლში „ბორჯომის“ გარეშე, არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა.

1961 წელს, მსოფლიოს 15 ქვეყანაში, 423 000 ბოთლი გაიტანეს ექსპორტზე, მათ შორის, აშშ-ში, საფრანგეთში, ავსტრიაში და სხვაგან. 1980-იან წლებში, „ბორჯომის“ გაყიდვამ 400 მილიონ ბოთლს მიაღწია და საბჭოთა კავშირში, ყველაზე პოპულარულ წყლად იქცა. 1990 წელს, „ბორჯომის“ რეალიზაციამ 450 მილიონ ბოთლს გადააჭარბა.

დამოუკიდებლობის პირველი 20 წელი რთულად დაიწყო – 1990-1995 წლებში, საქართველოში, შიდა ეკონომიკური სიძნელეების გამო, მკვეთრად შემცირდა „ბორჯომის“ წარმოება, მაგრამ 1995 წლიდან, პრივატიზების შედეგად, ბორჯომის წარმოებას შეუდგა კომპანია საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია (Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.), რომელიც „თიბისი“ ბანკის მფლობელს, მამუკა ხაზარაძეს ეკუთვნოდა. მოწვეულ იქნენ ინვესტორები, რის შემდეგაც წარმოება 40–ჯერ გაიზარდა.

1997 წელს, „ბორჯომის“ №1 და №2 ქარხნების მოდერნიზაცია დაიწყო, კომპანიის საკუთრებაში გადავიდა ხაშურის შუშის ქარხანა, რომელიც ბორჯომიდან 30 კილომეტრში მდებარეობს. 1998 წელს, №2 ქარხანაში, „ბორჯომი“ პლასტიკურ ბოთლებში ჩამოასხს. 1999 წელს, იმავე ქარხანაში, არაგაზირებული მინერალური წყალი – „ბორჯომის წყაროებიც“ ჩამოასხეს...

რა ელით „ბორჯომში“ დასაქმებულებს

წარმოების დროებით შეჩერების გამო, „ბორჯომში“ დასაქმებულ ათასამდე ადამიანს, სამწუხაროდ, უმუშევრობა ელის. ამჟამად „ლელოს“ დამფუძნებელი, მამუკა ხაზარაძე შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს ხედავს და ამბობს, რომ საქართველოს სახელმწიფომ „ალფა ჯგუფისგან“ უნდა გამოისყიდოს კომპანიის აქციები და თბილისის საფონდო ბირჟის საშუალებით, საქართველოს მოქალაქეებზე გაასხვისოს.

„ვერსიამ“ ამ თემის ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო, ამიტომ მხოლოდ ამ ერთი სტატიით არ შემოვიფარგლებით და მომდევნო ნომრებში „ბორჯომის“ შესახებ არაერთ სკანდალურ ინფორმაციას გთავაზობთ.

ცხადია, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში, აუცილებლად დავუკავშირდებით მამუკა ხაზარაძეს, ოღონდ მანამდე, აქვე, ამ სტატიის დასასრულს, რიტორიკულ კითხვას დავსვამ – სახელმწიფომ როგორ და რის საფუძველზე უნდა გამოისყიდოს კერძო პირისგან აქციები? თუკი უკრაინაში ომის დაწყებამდე აპირებდა ფრიდმანი ინა გუდავაძისთვის „ალფა ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული აქციების დაბრუნებას, პატარკაციშვილის ქვრივმა რა მიზეზით თქვა უარი?

დიახ, „ალფა ჯგუფისგან“ აქციების გამოსყიდვა ძალიან კარგია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ბიზნესმენი, ინვესტორი, კერძო პირი განახორციელებს და არა სახელმწიფო. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს მიერ, კერძო პირზე უკვე გასხვისებული აქციების გამოსყიდვა ექსპროპრიაციაა და სხვა არაფერი! გარდა ამისა, გარკვეულწილად, ორმაგ სტანდარტებშიც ვიხლართებით, რადგან თუ ვთანხმდებით, რომ საბაზრო ეკონომიკა გვაქვს და სახელმწიფო კერძო ბიზნესში არ და ვერ უნდა ჩაერიოს!

მას შემდეგ, რაც „IDS ბორჯომმა“ განაცხადა, რომ კომპანია საქართველოში მუშაობას აჩერებს, მოსკოვის საფონდო ბირჟაზე, „IDS Borjomi International“-ის 7 მილიარდი რუსული რუბლის ღირებულების ობლიგაციები 40%-ით გაუფასურდა.

„სიტუაცია ბოლომდე უნდა დაჭაობდეს“

ვის დაუჭერს ამომრჩეველი მხარს, არჩევნები მომავალ კვირას რომ ჩატარდეს – როგორ აფასებს არჩილ გამზარდია IRI-ის ბოლო კვლევას

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) ახალი კვლევის შედეგებს აქვეყნებს. გამოკითხვა არაერთ პოლიტიკურ ასპექტს შეეხება, რომელიც საზოგადოებრივ განწყობას მეტ-ნაკლებად ასახავს, თუმცა კვლევა განსჯის საგანი გახდა, რადგანაც საკითხში გარკვეული სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ შემთხვევითი შერჩევით ჩატარებული რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის შედეგი შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს იმას, რეალურად ასახავს თუ არა გამოკითხვა მოსახლეობის აზრს... ასეა თუ ისე, შეგვიძლია, კვლევის არსებულ შედეგებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ... კითხვაზე, მომავალ კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? – კვლევაში მონაწილეთა 31% „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ ასახელებს; ერთიან ნაციონალურ მოძრაობას – 16%; საქართველოსთვის – გიორგი გახარია – 4%; დრო – ელენე ხოშტარია – 2%; სტრატეგია აღმაშენებელი – გიორგი ვაშაძე – 2%; ლეიბორისტული პარტია – 2%; ხალხისთვის – ანა დოლიძე – 2%; ლელო – 2%; პატრიოტთა ალიანსი – 1%; კონსერვატიული მოძრაობა – ალტინფო – 1%; გირჩი – მეტი თავისუფლება -1%; მოქალაქეები – ალეკო ელისაშვილი – 1%; სხვა – 2%; არ ვაძლევ ხმას – 4%; ბიულეტენს გადახაზავს – 11%; არ ვიცი – 12%; არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული – 7%.

გამოკითხულთა 30% ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ოპოზიციის მოთხოვნას ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, 25% – ცალსახად ეწინააღმდეგება, 19% -მეტ-ნაკლებად უჭერს მხარს, 11% კი მეტ-ნაკლებად ეწინააღმდეგება.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 54% საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტნიორად ევროკავშირს მიიჩნევს. ამერიკის შეერთებულ შტატებს 53% ასახელებს, უკრაინას – 45%, თურქეთს – 20%, აზერბაიჯანს – 20%, სომხეთს – 7%, ჩინეთს – 4%, რუსეთს – 4%, ირანს – 1%.

კვლევის მიხედვით, მოქალაქეებს აწუხებთ ეკონომიკური პრობლემები, პოლიტიკური პოლარიზაცია და რუსეთისგან მომავალი გაზრდილი საფრთხეები.

გამოკითხულთა 71% ამბობს, რომ საქართველო სულ უფრო მეტად პოლარიზებულია და ამ ფონზე, ქვეყნის მოქალაქეების 60%-ს სურს, მომავალ არჩევნებზე ახალი პოლიტიკური პარტიები იხილოს.

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეები რუსეთს კვლავაც მთავარ საფრთხედ აღიქვამენ. გამოკითხულთა 90% რუსეთს ძირითად პოლიტიკურ საფრთხედ თვლის, ხოლო, 83% – რუსეთს სერიოზულ ეკონომიკურ საფრთხედ მიიჩნევს.

IRI-ის ახალი კვლევა „ვერსიამ“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას შეაფასებინა.

– არჩილ, ახალი კვლევის მიხედვით, როგორი პოლიტიკური განწყობაა დღეს საქართველოში?

– მადლობა, რომ ამ კითხვით დაიწყე... კვლევის ძალიან ბევრი მეთოდი არსებობს, რომელიც ბევრად უფრო სიღრმისეულად იკვლევს საზოგადოებრივ განწყობას, მაგრამ ახლა ყველაზე პოპულარული შემთხვევითი გამოკითხვაა, რომელიც ყველაზე ზედაპირულად ითვლება. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, საშუალო სტატისტიკური პირის დადგენა, რომლის პოზიციაც იქნებოდა სტანდარტი და გამომხატველი ასობით ადამიანისა, საკმაოდ ძნელი დასადგენია. ამიტომ, პირადად ჩემთვის, ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

რაოდენობრივი კვლევა არ არის წარმომადგენლობითი და IRI-ის სპეციფიკური მიდგომა აქვს, ვთქვათ, მოწონების კოეფიციენტზე – ზოგს ჰგონია, რომ რესპოდენტი ასახელებს პიროვნებებს, სინამდვილეში, შეთავაზებულია ნუსხა, სადაც მოწონება-არმოწონება ფასდება. სხვათა შორის, ერთგვარი პარადოქსი იყო ხოლმე, როცა დავით ბაქრაძე ამ რეიტინგებში ლიდერობდა, ჩემთვის ეს არც სასაცილო იყო და არც პარადოქსული, რადგან როცა სიაში მსგავსი, ნაკლებად გამოხატული პერსონაა, ის შეიძლება, უფრო მოსწონდეთ, ვიდრე არ მოსწონდეთ.

– ბაქრაძე რატომ აღარაა ამ კვლევის რეიტინგულ სიაში?

– ალბათ, IRI-მ უნდა განმარტოს, რა პრინციპით ადგენს ამ სიას. მაგალითად, გირჩში გააპროტესტეს, რომ მათზე ნაკლებად აქტუალური პერსონები იყვნენ შეტანილნი ნუსხაში... თანამედროვე სოციოლოგიას საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები ხშირად განიხილავენ არა იმდენად საზოგადოების განწყობის ამსახველ საშუალებას, არამედ, უფრო საზოგადოებრივი განწყობის შემქმნელს – ესეც ფაქტორია. გაუგებარია, ამ ნაწილში რატომ არიან შეყვანილნი ისეთი პერსონები, რომლებსაც სრულიად სხვადასხვა საქმიანობა და მოქალაქეების მიმართ განსხვავებული ანგარიშვალდებულება აქვთ. თუმცა, მაინც შეგვიძლია, ვიხელმძღვანელოთ მსგავსი გამოკითხვებით, რადგან ძირითად პრინციპს, პროპორციულ გადანაწილებას, მონაცემთა შორის კავშირს შედარებითი ანალიზის პრინციპით ვაკვირდები ხოლმე. ეს კი აჩვენებს იმას, რაზეც სპეციალისტები ხშირად ვსაუბრობთ – ძალაუფლება ვის ხელშიცაა, ისინი მოჩანან აქტორებად, რადგან მათ ხელშია რესურსები, მათი პოზიციები თანმიმდევრულია და მიჰყვებიან ვერტიკალს, რომელიც აისახება მოქალაქეთა ნაწილზე.

სპეციალისტები ვსაუბრობთ, რომ ოპოზიციაში არის პრობლემა – ერთმანეთთან კომუნიკაციის ხარვეზები, ახალი პოლიტიკური ეპოქისთვის დამახასიათებელი მეთოდები, დამოკიდებულებები ნაკლებად ისახება ოპოზიციის რესურსებში.

სხვათა შორის, ამ კვლევაში საინტერესო ტენდენცია ჩანს რუსეთთან, ევროკავშირთან მიმართებაში, სადაც დინამიკა რეალისტური და საინტერესოა, რომელიც აჩვენებს საზოგადოებრივ შეხედულებებს. ისიც საინტერესოდ და რეალისტურად მენიშნა, რომ ჩვენთან ამომრჩეველი ურთიერთწინააღმდეგობრივია. ჩნდება კითხვა – თუ ერთ საკითხზე თანახმაა ამომრჩეველი, ამის საწინააღმდეგოდ გამოხატულ საკითხთან მიმართებაში, როგორ შეიძლება, პოზიტიური არჩევანი ჰქონდეს? – დიახ, ამომრჩეველი არის ურთიერთწინააღმდეგობრივი საკუთარ თავთანაც და ჩანს, რომ ჩვენი საზოგადოება სურვილების ეტაპზე უფროა, ვიდრე – მიზნების. ამომრჩეველს რომ ჰქონდეს მიზანი და პოლიტიკურ სუბიექტთან კავშირს ხედავდეს, შეიძლება, სხვა შედეგი დამდგარიყო.

– საყურადღებოა გამოკითხვის ის ასპექტიც, რომ გამოკითხულთა 34% არც ერთ პარტიას არ მისცემდა ხმას, 44%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს, ხოლო 19%-მა პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ასეთი უნდობლობა პოლიტიკური სპექტრის მიმართ?

– თუ დავაკვირდებით მსგავსი კვლევის ანალიზებს, თითქმის ყველგან გამოკითხულთა ნაწილის სავალალო რაოდენობა აძლევს კონკრეტულ პასუხს. ლოგიკურია, როდესაც ხელისუფლებას აქვს მხოლოდ რესურსების ეფექტი და მხარდაჭერა ამის ფონზე გააჩნია და ადამიანები ვერ აღიქვამენ, ოპოზიციაში ვის რა უნდა, რადგან მედიითაც წინ გამოტანილია უფრო პოლიტიკური ინტრიგები და რეალითი შოუები, ვიდრე შინაარსი და აზრი, ამიტომ ამომრჩეველი სკეპტიკურია ყველას მიმართ და ეს არჩევნებზეც კარგად ჩანს ხოლმე, როცა უმრავლესობა არ მიდის ხმის მისაცემად. უბრალოდ, ჩვენთან საარჩევნო კანონმდებლობა იძლევა უფლებას, რომ აქტივობის მიუხედავად, ძალიან მცირე ნაწილმა გადაწყვიტოს სახელმწიფოს მართვის ბედი. მოკლედ, ჩვენ უნდა ვეძებოთ პრობლემა პოლიტიკური პარტიების შინაარსში, გამოხატულებაში.

მუდმივად ამ პროცესებს ვიკვლევ და ვამბობ, რომ ახლა განსხვავებული პოლიტიკური ეპოქაა, ოპოზიცია კი ცდილობს 2000-იანების მეთოდოლოგიით იმუშაოს. 2022 წელია და რაც გინდა, სტატიკური იყოს ქვეყანა, რაღაცები მაინც ვითარდება, ამიტომ ადამიანები ითხოვენ განსხვავებულ მეთოდოლოგიას და არა იმას, რაც გვაქვს – პოლტიკური კონკურენცია გაუაზრებელია; პოლიტიკური დომინაცია ნეგატიურ საქმეს აკეთებს; ამომრჩევლის ფუნქცია პოლიტიკური სექტორისთვის გაუგებარია, რადგან ისინი ფიქრობენ, მე რომ დღეს და ხვალ სრულიად განსხვავებული პოზიცია მაქვს, ამომრჩეველი მაინც ყველაფერში უნდა გამომყვესო, არადა, ასე არ ხდება. ამომრჩევლის თავისუფლება გამოჩნდა სხვადასხვა აქციაზე, როცა საპროტესტო დემონსტრაციაზე მივიდნენ და პოლიტიკურ პასაჟებს აღარ გაჰყვნენ, პოლიტიკოსები მარტო დარჩნენ მოედანზე.

დასასრული მე-5 გვერდზე

„სიტუაცია ბოლომდე უნდა დაჭაობდეს“

მე-4 გვერდიდან

ამასთან, „საპნის ოპერად“ გადაქცეული მუდმივი პოლიტიკური რეალითი შოუ, შეიძლება, საყურებლად ადამიანს იტაცებს, მაგრამ ნდობით არ აღჭურვავს. სხვათა შორის, პარადოქსია, მაგრამ პოლიტიკოსები, რომლებიც მედიაში განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობენ, მათი ე.წ. ყურებადობა მაღალია, უმრავლეს შემთხვევაში, ნომინალურ ხმებს ვერ აგროვებენ არჩევნებში. ეს ასიმეტრია აჩვენებს იმას, რომ პოლიტიკოსების აღქმა ამომრჩევლებისთვის აღარ ხდება, მათ აღიქვამენ, როგორც ანიმაციების თუ რეალითი შოუს პერსონაჟებს. როცა კავშირი მოქალაქესა და პოლიტიკოსს შორის არის მხოლოდ გასართობი, ვიღებთ ამ შედეგს – ბევრი აღარ პასუხობს გამოკითხვაში ან ყველას წინააღმდეგია, ან სრულიად ინდიფერენტულია და ა.შ. მოკლედ, მთელი რიგი კომპლექსური ხარვეზებია.

სამეცნიერო დონეზე ვიკვლევ ამ საკითხს და ყველა მიმართულებით რატომღაც ძველი მიდგომა აქვთ პარტიებს. დაუჟინებიათ „პოლიტიკური ერთობა“ – ეს ძველი პოლიტიკური ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი, როცა იყო პოლიტიკური ბლოკები, გაერთიანებები...

– დიახ, ხშირად გვესმის გაცვეთილი ფრაზა – „ყველა ერთად და ერთ აზრზე უნდა ვიყოთ“...

– ეს ეპოქა დასრულდა, ოღონდ პოლიტიკოსები ამას ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან. მოქალაქეს სჭირდება ერთი პარტია თავისი უნიკალურობით და არა პარტიების კრებითობა, სადაც გაუგებარია თითოეული მათგანის ფუნქცია. ბევრად უფრო ადვილია, გამოვარდე და პერფორმანსები დადგა მედიასთან, მითუმეტეს, რომ ქართული მედიაც სავალალო ვითარებაშია და სკანდალის გარდა, ძალიან იშვიათად ინტერესდება შინაარსით, ამის გამო, პოლიტიკური პირების ნაცვლად, ვიღებთ „პოლიტიკურ ცხოველებს“ პერსონაჟების სახით, რომლებიც მხოლოდ სასერიალო ინტერესით არიან წარმოდგენილნი, რაც ამომრჩევლის ინდიფერენტულობას იწვევს.

– პერსონალურ რეიტინგებში თვალშისაცემია ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილზე უფრო მაღალი რეიტინგი არაერთ სხვა პოლიტიკოსს თუ პერსონას აქვს. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ამ ორი მნიშვნელოვანი ფიგურის რეიტინგის დაბალ ნიშნულზე გადანაცვლება?

– ეს მარტივად ახსნადია – ხშირად, საქართველოში პიროვნებები აქტუალობის მიხედვით იძენენ ფასს. ივანიშვილი ახლა ნაკლებად აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წუთში ახსენებენ, ეს ადამიანი არ ჩანს და მოქალაქეს შინაგან კავშირი არ გააჩნია, რადგან ეს განწყობა იმათთან მიმართებაში აქვს, რომლებსაც ხშირად ხედავს...

– სამაგიეროდ, მიხეილ სააკაშვილს ვხედავთ ხშირად ეკრანზე, მაგრამ მისი რეიტინგი მაინც არაა მაღალი ამ კვლევის მიხედვით...

– აქ შეიძლება საქმე გვქონდეს თემის მიმართ მობეზრებასთან ამომრჩევლის ნაწილში, რადგან როცა ამდენი წელი, ერთსა და იმავე პირებთან გაქვს კავშირი, რაღაც მომენტში, შეიძლება, უფრო ნაკლებსაინტერესო იყოს... ბოლო 20 წელია, ერთსა და იმავე ტიპის შეფასებაში მონაწილეობს სააკაშვილი და 10 წელზე მეტია – ივანიშვილი, ამიტომ ერთი და იგივესადმი დამოკიდებულება ადამიანებს ისეთი არ აქვთ, როგორც ამას პარტიული „ბაბლი“ მიიჩნევს.

– არჩილ, გამოკითხულთა 76% მიიჩნევს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ვითარება გაუარესდა. როგორ ფიქრობთ, ეს არის ინდიკატორი არა მხოლოდ მმართველი ძალის, არამედ, სრულიად პოლიტიკური ელიტისთვის, რომ პროცესები უკეთესობისკენ წარმართონ?

– სიტყვები „კარგი“, „ცუდი“, ინდივიდუალურად გასააზრებელი ტერმინებია და ვცდილობ, საუბრისას, მინიმუმამდე დავიყვანო. მდგომარეობის გაუარესება ძალიან პირობითია – ვისთვის რა არის ვითარების გაუარესება?... ვვარაუდობ, რომ ამ კვლევაში იგულისხმება სოციალური ასპექტი და ზოგადი უსაფრთხოების განცდა. ვფიქრობ, რომ ადამიანთა უმრავლესობა ზოგად სოციალურ სიდუხჭირეს, დასაქმების პრობლემას გულისხმობს. რაც შეეხება იმას, თუ რა უკუკავშირი უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ სუბიექტებს – ხელისუფლებას რესურსებზე მდგარი ძალაუფლება აქვს და ბუნებრივია, მათთვის არაა საინტერესო... როცა ხელისუფლება ფიქრობს, რომ ხალხი კი არაა მისი საყრდენი, არამედ, რესურსი და ძალაუფლება, სრულიად გულგრილად უყურებს სახელმწიფო საჭიროებებსაც და ხალხის მდგომარეობასაც, ამიტომ ჩემთვის ახსნადია, რატომაა მმართველი ძალა გულგრილი ამ ყველაფრის მიმართ.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს, შინაგანი რესურსების სრული კრიზისი აქვთ. გართულები არიან იმით, რომ რაღაცნაირად ჩაანაცვლონ ხელისუფლება და იმ ფაქტორების გამო, რომ ჩამორჩენილები არიან პოლიტიკურ ეპოქას, ცოცხალი თავით არ მიჰყვებიან ადამიანების მდგომარეობას, არ სწავლობენ, რა შეიცვალა, რა მიდგომაა საჭირო, თავისთავად, ეს მაჩვენებლები მათთვისაც უინტერესოა. ჩვენთან ყველა მონაცემი პოლიტიკოსებისთვის გახდა მხოლოდ საკუთარი პროპაგანდის საფუძველი, განა, რეალურად აღელვებთ ეს პრობლემები...

არ დაგვავიწყდეს, მე და შენ რომ ტრანსპორტით დავდივართ და გვეშინია თვის ბოლოს დადგომის, რადგან არ ვიცით, კომუნალური გადასახადები როგორ გადავიხადოთ... მე და შენ კი არ გვესმის ხალხის, არამედ, ამ ხალხის ნაწილი ვართ და ასე ვცხოვრობთ, მაგრამ ელიტებს ეს პრობლემა არ აქვთ... არ იციან, რას ნიშნავს, თუნდაც ის, რომ პურის ზომამ რომ დაიკლო, როგორ აისახა ეს ჩვენს სახლში კვებაზე; რამდენად გაუჭირდათ დიასახლისებს ფასის ზრდის გამო, ხორციანი სადილის მომზადება შვილებისთვის და ა.შ. პოლიტიკური ელიტა მოწყვეტილია რეალობას, პოლიტიკური უნარები დაქვეითებული აქვთ. როგორც ჩანს, ბოლომდე უნდა დაჭაობდეს სიტუაცია... ხომ არის მომენტი, რომ დიასახლისი დაობებულ პურს არ აგდებს, ჯერ მაცივარში ინახავს, გამოშრობას ცდილობს და ბოლოს, როცა ხვდება, რომ ცხოველიც არ შეჭამს, გადაყრის... ალბათ, პოლიტიკურ პროცესში ამ დონემდე უნდა მივიდეთ. როგორც ჩანს, კარგად და საკმარისად არ „დაობებულა“ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი...

ექსკლუზიური ინტერვიუ მამასთან, რომლის შვილიც ბაბუას გაუპატიურებაში ადანაშაულებს

სალომე ნოზაძე

„ვერსია“ აგრძელებს შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი საზარელი დანაშაულის ჟურნალისტურ მოკვლევას. შეგახსენებთ, 13 წლის გოგონა 53 წლის პაპას გაუპატიურებაში ადანაშაულებს და ჩვენებაში აცხადებს, მამის მამა მასზე სისტემატურად ძალადობდა. „ვერსიამ“ ამ საქმეზე, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში, არაერთი სტატია მოამზადა. ამჯერად, გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს დაზარალებული ბავშვის მამასთან.

– გვიამბეთ, რა ეტაპზეა საქმის განხილვა და რა მოხდა ბოლო სასამართლო პროცესზე?

– ბოლო სასამართლო პროცესი დასრულდა საშინლად და სასაცილოდ. მოსამართლე შეიცვალა, სხვა მოსამართლე ჰყავს საქმეს და ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი, რაც აქამდე ჩატარებული იყო. ბრალდებული ისევ პატიმრობაშია და ამ სხდომაზეც იგივე ხალხი დაიკითხა, რომლებიც წინაზე.

ყველაზე სასაცილო და საშინელი ისაა, რომ მათ, რომლებიც დაიკითხნენ და სხვა რაღაცას ამბობდნენ, ახლა შეცვალეს ჩვენება. მაგალითად, ჩემი ყოფილი მეუღლის მეზობელი ჰყვება ამბავს, რაზეც აქამდე არაფერი უთქვამს, ახლა კი აცხადებს, რომ ბრალდებული დაუნახავს შვილიშვილთან ერთად. ამბობს, რომ პაპა (ბრალდებული – რედ,) დაუნახავს, რომელმაც თითქოს მანქანით მიიყვანა ბავშვი, კალთაში ეჯდა, შემდეგ გადმოიყვანა მანქანიდან და ხელში აყვანილი მიიყვანა სადარბაზოში. 13 წლის ბავშვი აიყვანა, თურმე, ხელში ინვალიდმა კაცმა! ეკითხებიან, რა მდგომარეობაში იყო ბაბუაო, მან კი თქვა, ნორმალურ მდგომარეობაში იყო, ორ ფეხზე იდგაო. ეს თქვა მაშინ, როდესაც ამ კაცს, 1990 წლიდან, საზარდულში აქვს მოჭრილი ფეხი და იმ დროიდან დადის ყავარჯნებით. ასეთ ადამიანზე აცხადებს, რომ ნორმალურ მდგომარეობაში იყო და ორ ფეხზე იდგაო! მოსამართლე იზიარებს ყველაფერ ამას, რადგან ისიც მათი მონაა!

იყო კიდევ ერთი შემთხვევა – მასწავლებელი, რომელიც აქამდე ამბობდა, რომ ბავშვი არ იყო გულჩათხრობილი და მოწყენილი, ახლა აცხადებს, თურმე, ბავშვი მოწყენილი იყო. ვკითხულობ, სად იყო აქამდე? რატომ არ გააგებინა ყველაფერი მშობლებს?! ამბობს, ყველაფერი იმის ბრალი იყო, მშობლები რომ დაშორდნენ ერთმანეთსო, მე დავშორდი მეუღლეს 2016-ში და საუბარია 2020-2021 წლებზე.

მანამდე თუ კარგად იყო ბავშვი, მერე დაემართა დეპრესია მშობლების დაშორების გამო? ან თუ ცუდად იყო ბავშვი, მასწავლებელი სად იყო აქამდე?! მაგ მასწავლებლის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება აუცილებლად!

– თქვენი შვილი თუ იყო ბოლო სასამართლო სხდომაზე?

– არა, ბავშვს არ აჩენენ, დღემდე არ მოუყვანიათ. ამდენი ექსპერტიზა ჩატარდა, ყველა ექსპერტიზა გამორიცხავს ბრალდებულის დანაშაულს. მე მამა ვარ, მე ვითხოვ სიმართლეს.

რეალობას, რასაც ვხედავ, ეს არის – ერთხელ არ შემხმიანებია პროკურორი, რატომ ეხმიანება ამ ხალხს და რატომ არ მეხმიანება მე?! მე ხომ მამა ვარ?! მართალია, მე მხარედ მთვლიან, მაგრამ ყველაზე მეტი დაზარალებული ხომ მე ვარ?! ჩემს შვილსა და მამაზეა საუბარი. ვერ ვხვდები, პროკურორს რაში სჭირდება, რომ ამ ხალხს თეთრზე ათქმევინოს შავიაო?! თუ პროკურორია, თუ ადამიანია, თუ სწორად უნდა გამოიძიოს ეს საქმე, შავზე შავი თქვას, თეთრზე – თეთრი.

მაინტერესებს სიმართლე. მამაჩემი თუ დასასჯელია, პირველ რიგში, მე დასვჯი და ეს ჩემი ყველაზე დიდი მოთხოვნაა იმ დროიდან, მაგრამ რასაც ვხედავ, ბავშვის ექსპერტიზის პასუხი თავიდან არ ჩადეს საქმეში, რადგან ბავშვს თითი არ ჰქონდა დაკარებული.

ბევრი ექსპერტიზა ჩაუტარდა მამაჩემს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ახლა მესამედ მოხვდა საავადმყოფოში გულის შეტევით და ჯანმრთელობის ბევრი სხვა პრობლემით. უნდათ, რომ ადამიანი ციხეში ავადმყოფობით მოკლან, ამიტომ უწელავენ ასე საქმეს... ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს. პროკურორმა იმ დღეს დაუშვა შეცდომა, როცა არ გამოიძიეს ეს საქმე, შშმ ადამიანს ხელი მოჰკიდეს და გააქანეს ციხეში.

ჭორის დონეზე არ ვამბობ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ყოფილ მეუღლეს ჰყავს მფარველი. მალე ყველაფერს აუცილებლად გავაჟღერებ. ჩემმა ყოფილმა ცოლმა მეც ბევრი რამე დამაბრალა, ვითომ ვავიწროვებდი და ცუდად ვექცეოდი, როდესაც დაშორებული ვიყავი.

– დაზარალებულთან, ან სხვა შვილებთან კომუნიკაცია გაქვთ?

– არა, საერთოდ არ მაქვს. დამბლოკეს ყველგან, შვილებსაც დააბლოკინეს ჩემი თავი. ახალ წელს ვურეკავდი, არ მიპასუხეს. თუ ბავშვებს არ ვუთხარი მობილურით, რომ მამა, გარეთ ვარ, გამოდით, თქვენი ნახვა მინდა-მეთქი, არ უშვებს. მეც არ მივდივარ, რომ კონფლიქტი არ მოხდეს.

რაც ეს ამბები დაიწყო, ბავშვები მხოლოდ ერთხელ ვნახე. მაშინ დაზარალებული შვილი მეუბნებოდა, რომ ადვოკატი არ მჭირდებოდა და მე მისი უნდა დამეჯერებინა, დაარიგეს და ალაპარაკეს. მე ვეუბნებოდი, შვილო, მე სიმართლე მაინტერესებს, შენიც მჯერა, მაგრამ სიმართლე მაინტერესებს და ჩემი ადვოკატი შენ ხელს არაფერში შეგიშლის-მეთქი. არაო, მე ხელს მიშლისო, ადვოკატი არ გჭირდებაო, მეუბნებოდა ბავშვი.

– სავარაუდო დაზარალებული ბავშვი თუ შეამოწმეს ფსიქოლოგებმა?

– როგორც ამბობენ, შეამოწმეს, მაგრამ ჩვენ შევთავაზეთ, რომ ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ჩაგვეტარებინა, მაგრამ პროკურორმა ამაზეც უარი მითხრა.

არ უნდათ ამ ბავშვის გამოჩენა იმიტომ, რომ ეს ამბავი „შეკერილია“. ჩვენებაში რაც წერია, ის ბავშვის სიტყვები არ არის, ის მისი დაწერილი არ არის.

– როგორც ადვოკატი ამბობს, ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ბავშვის საქალწულე აპკი დარღვეული არ არის. თუ ასეა, ახლა რა მუხლით იმყოფება ბრალდებული ციხეში?

– იმავე მუხლით ზის, რომლითაც დააკავეს. პატიმრობაში ყოფნის 7 თვე უსრულდება მამაჩემს. წესით, შემდეგ სასამართლოზე გავიგებ, გამოუშვებენ თუ არა, მაგრამ მგონია, გამოშვებას არ აპირებენ, რადგან იციან, რომ შეცდომა დაუშვა პროკურორმა. ამდენი ხანი ბრალი ვერ წაუყენეს, ვერაფერი ნახეს და ამის გამო, მეშვიდე თვეა, შშმ კაცი ზის ციხეში, რომელიც იქ უარესად დაავადდა. 110-120 კგ იყო და 69 კგ-მდეა ჩამოსული.

– რას ელოდებით შემდეგი სასამართლო სხდომიდან და რას აპირებთ?

– მინდა, ნორმალურად გამოიძიონ ეს საქმე და სიმართლე დაადგინონ. ამ ხალხს ნუ აბეჩავებენ და როგორც უნდათ, ისე ნუ ალაპარაკებენ, როგორ შეიძლება, ადამიანი დაიბარო კაბინეტში და შენი ნალაპარაკევი ალაპარაკო. ეს როგორ შეიძლება?! ეს არის სასამართლო?! ეს არის პროკურატურა?! როგორ შეიძლება, პროკურორი ასე დაეცეს, რომ ასეთი რამ აკეთოს? თუმცა, როგორც ვატყობ, პროკურორს აქვს რაღაც დავალება და მოსამართლეც, პირდაპირ გეუბნებით, რომ პროკურატურის მონაა.

ვინ გასცემს ამ კაცს პასუხს, მართალი რომ გამოვა ციხიდან?! ვინ დაუბრუნებს მას ჯანმრთელობას?! თუ დასასჯელია, მე პირადად შევუწყობ ხელს, რომ დაისაჯოს, თუ არადა, გარეთ უნდა გამოვიდეს და ვინც ამ საქმეში დამნაშავეა, ის უნდა დაისაჯოს.

ტყუილად დაიჭირეს. იცით, რატომ ვფიქრობ ასე?! ამდენი ექსპერტიზით, ბავშვზე იძახდნენ, რომ გაუპატიურებულიაო და თითი არ აქვს ბავშვს დაკარებული.

ედენა

ქვათა მატიანე

მთის რაჭა

გელა ქოქიაშვილი

ედენა და ოქროს საწმისი

ღები და ღებელები – ისტორია და ამ ისტორიის, მშობლიური მიწის მოსიყვარულე ხალხი... ამჟამად საქართველოში არ მოიპოვება ისეთი კუთხე და მოზრდილი ქალაქი, სადაც ამ სოფლიდან წასული კაცის შთამომავალები არ ცხოვრობდნენ, მაგრამ სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, საკუთარ თავს ღებელებს უწოდებენ.

სოფლიდან წასულ ნებისმიერ კაცს თვალი მაინც აქეთ უჭირავს და წელი თუ მოსდევს, ღებს ეშველება. ასე ააშენა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დანგრეული ბოლო დუროიანი სახლის ადგილმონაცვლედ მსგავსი ნაგებობა ბიზნესმენმა თენგიზ გავაშელმა. მისი მოგვარის და ჩვენი მასპინძლის ბატონ ვეფხიას ინიციატივით სოფელმა **პატარა ღებში**, „დედაღვთისას“ სალოცავთან, გრძელი, კაპიტალური კიბე აიყვანა, მოაჯირებით გააწყო და ღამით გაანათა კიდეც. „დედაღვთისა“ მოკრძალებული სახელით – სალოცავით – იმიტომ მოვიხსენიე, რომ ათეისტების მიერ 100 წლის წინათ დანგრეული ძველი, მოზრდილი ეკლესიის ხატები ახლა მთელ ხეობაში ეულად დარჩენილ ამ ერთადერთ მურყვამშია დასვენებული. სავარაუდოდ, ეს ის ციხე-კოშკია (მურყვამია), რომელიც 1503 წლის „სასიხლო წიგნშია“ ნახსენები: ჩვენ, სვანებმა ჯაფარიძეებს (ე.ი. ზემო რაჭის აზნაურებს) ღებში (ე.ი. პატარა, ძველ ღებში – **გორმანში**), გადმოგეცით „ორი აზნაურიშვილი გიგაშვილი მისით ციხითა და სამოცდა თორმეტით კუამლით კაცითა“. ჩნდება ეჭვი, რომ ეს გიგაშვილები შეიძლება იგივე გავაშელები არიან.

დიდ ღებში, ანუ ზედაქალაქში, რომელიც რიონის მარცხენა ნაპირზეა, სულ ახლახან ბიზნესმენმა იაგო გოგრიჭიანმა, მოსახლეობის თანადგომით, მაცხოვრის აღდგომის გუმბათიანი ეკლესია ააგო. იგი იმ ადგილზე აშენდა, სადაც, 1503 წლის საბუთის თანახმად, ჯვარცმის საეპისკოპოსო საყდარი იდგა. **ამ ტაძრის განძთან დაკავშირებით ორი ლეგენდა არსებობს: 1) ეთნოგრაფ ეგნატე გაბლიანს ჩაუწერია გადმოცემა, რომ ოდესღაც (სავარაუდოთ XV საუკუნის შემდეგ) ვინმე გიორგი სვანს ღებიდან ხევის მთავარი სიწმინდე – დიდი ჯვარი მოუტაცია და იგი სვანეთში გადაუტანია; 2) ღებში გვიამბობენ, რომ ვინმე ბათხაძეს ნადირობისას უზომო ფათერაკი შემთხვევია – დათვისთვის ნასროლი ტყვია შეცდომით შვილისთვის მოუხვედრებია და მოუკლავს. საბრალო მამას უფლისთვის შეუთქვამს – ამ შეცოდებას გატაცებული ჯვრის დაბრუნებით გამოვისყიდიო. ჯერ კიდევ ზამთარი ყოფილა და ბათხაძეს წელსზემო თოვლის გარღვევა დაჭირვებია ლაშხეთის თემში გადასასვლელად. ამას არ შეუშინებია, მაგრამ ღებელებისათვის მაინც დაუბარებია, სამ დღეში თუ არ დავბრუნდი, შესანდობარი მითხარითო. ბათხაძე მართლაც მესამე დღეს დაბრუნებულა, ლასლასით მომავალი, თურმე, ჯვარს ძლივს ერეოდა. ღებში რომ შემოსულა, სანახშოზე მყოფი სოფლელებისთვის დაუძახია მაცხოვრის ჯვარი მომიბრძანებია, დიდება მიბრძანებიაო. ამის შემდეგ დაწესებულა, თურმე, ღებიხევში 3-დღიანი მარხვა დიდმარხვის წინა კვირაში. (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი), რომელიც ხუთშაბათს, დიდი ზეიმით აღინიშნება დღესაც.**

ორსავე თქმულებას საფუძვლად სხვა რეალობა უნდა ედოს. მათში, შეფარვით, ფუსტების ტრადიციული საქმიანობა ჰგიებს. ისინი, როგორც ეკლესიის დაცვის საიდუმლო მუშაკები, მტრის მოახლოებისას, ყველაზე ძვირფას საკულტო განძეულობას საგულდაგულოდ ინახავდნენ მთებში, მეტადრე კი სვანეთის ტაძრის საცავებში.

რაკი საეკლესიო თემას შევეხეთ, მთის რაჭის, კერძოდ კი ღებიხევის სამლოცველოებზეც უნდა ვისაუბროთ. 1503 წლის ე.წ. სასიხლო წიგნში, ღების „მაცხოვრისა“ და „დედაღვთისას“ ეკლესიების გარდა, დასახელებულია **ბრილისა** და **შოდას**, ასევე **ბუბას** ეკლესიები. სხვა საყდრებზე, რომლებიც ჭიორაში, თავრეშოში და გონაში მდგარა, საბუთში არაფერია ნათქვამი. ეს იმის გამო, რომ მათ ყმა-მამული არ ჰქონიათ, არადა, ხეობის ტაძართა შორის უვნებლად (მხოლოდ მცირეოდენი შეკეთებით) სწორედ ეს უკანასკნელი – **გ ო ნ ა ს** „მთავარანგელოზია“ შემონახული.

ღების თემში შემავალი პატარა სოფელი გონა მთის რაჭაში ყველაზე მაღალმთიანი დასახლებაა. იგი ზღვის დონიდან 1680 მ-ის სიმაღლეზეა, ღების საკრებულოს ეკუთვნის და ჩვეშურას ხეობაშია. გონას „მთავარანგელოზი“ სოფლის სასაფლაოზე დგას, იგი IX ს-ის ტაძარია და ე.წ. სვანური სტილის გათვალისწინებით, შრიმის მოზრდილი კვადრებითაა აგებული. თითო კედელში აქვს გარედან ვიწრო და შიგნით ამბრაზურის ფორმით გაგანიერებული სარკმელი. მათ გარედან ორმაგი, სადა ლილვი დაუყვება, საკურთხეველს აბსიდი და, ესე იგი, კონქიც არ აქვს – აღმოსავლეთის კედელი ბრტყელია და საკურთხეველის ზღვავრს მოპირდაპირე პილასტრების ხაზე არსებული მცირეოდენი ამაღლება ქმნის. მხატვრობის კვალი არ იკითხება, თუმცა ჩრდილოეთ კედლის წყობის ზედა რეგისტრის ერთ ლოდს უცნაური სახე აქვს.

მდინარე ჩვეშურს ბოლომდე თუ ავყვებით, **ღებევცეკის** უღელტეხილი ჩრდილოეთ კავკასიაში გადაგიყვანს. ამ უღელტეხილს ადგილობრივები **კირტოშოს** უღელტეხილს

ღების საკურთხევლისწინა ჯვრის ერთ-ერთი ფირფიტა

უწოდებენ, რადგან მახლობლად კირტიშის ოთხიათასიანი მწვერვალი უდგას. ქედს გადაღმა XII-XIV საუკუნემდე ალან-ოსები ცხოვრობდნენ, მერე კი მალყარები დასახლდნენ. მიტომ 1503 წლის „სასისხლო წიგნში“, ერთგან რომ ოსეთია ნახსენები საზღვრად, ძველი ტრადიციითაა დაწერილი, თორემ სინამდვილეში ის ყაბარდო-მალყარეთია. ჩვენ ბუნებრივია, იქით არა გვესაქმება რა და ერთადერთ, ჩვენთვის მეტად ღირშესანიშნავ ადგილამდე გაცილებით მოკლე გზა გვაქვს გასავლელი. გზის სიმოკლის მიუხედავად, იმდენი დრო კი რჩება, რომ უაღრესად საინტერესო ამბები გაიმბოთ.

ღებიხევი ჩრდილოეთით 25 კილომეტრზე გრძელდება. მისი ტერიტორია 350 კვ/კმ-ია. კავკასიონი, თავისი განშტოებებით მთელ ამ მიდამოს ისე უვლის გარშემო, რომ მას განცალკევებული მიკროქვეყნის იერს აძლევს. ქვეყნის გულში ჩამოედინება მდინარე, რომელიც, **ესქილესა** და **ჰეროდოტეს** თქმით, ევროპას აზიისგან გამოყოფდა. ამ მდინარეს ფასისი ერქვა, ხოლო ჩვენ რიონს ვუწოდებთ. **გარშემორტყმული მთების ჯაჭვში 10 მწვერვალია. იმ ათიდან ღებელებს ყველაზე ხშირად 4 მათგანის სახელი აკერიათ პირზე: კირტიშო, ზოფხიტო, ედენა და ფასი. ამ ოთხიდან თავის მხრივ ორი კიდევ უფრო გამორჩეულია: ფასი და ედენა.**

თუ მდინარე ფასისს კონტინენტების საზღვრის როლი აქვს მორგებული გენიალური ბერძენი მწერლების თხზულებებში, მე მის სათავეს – ფასის მთას, გავრისკავ და, სამოთხის ცენტრს ვუწოდებ. კაცობრიობა, ძველი აღთქმის წიგნებიდან გამომდინარე, რა ხანია ერთი მდინარიდან გამოსული ოთხი მდინარის ძებნაშია, ეძებს და დღემდე ვერ დაუდგენია სად შეიძლება იპოვოს ისინი წინა აზიაში. ძველი აღთქმის წიგნთა ავტორების თვასაწიერი მაინცდამაინც ვერც ცენტრალური აზიას წვდებოდა, ვერც აპენინ – პირინეის და ვერც აფრიკის სამხრეთს, დედამიწის სხვა მონაკვეთებზე და მითუმეტეს კონტინენტებზე არას ვამბობ, მაგრამ სანაცვლოდ ისინი, მომდევნო ხანების სწავლულთაგან განსხვავებით, თავიანთ თვალსაწიერში არსებულ სამყაროს იცნობდნენ ზედმიწევნით კარგად. კრიტიკული თვალითაც რომ შევხედოთ შუმერი ქურუმებისა და ბიბლიის ძველი წიგნების ავტორთა მონათხრობ ამბებს, მათ საამისო წარმოსახვისთვის რაღაც რეალური, კონკრეტული ადგილის, თუნდაც მიმსგავსებულის, ცოდნა დასჭირდებოდათ.

მთელ წინააზიაში, მისი უკიდურესი ჩრდილოეთის ჩათვლით, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გარდა, სხვაგან ვერსად ნახავთ ისეთ ადგილს, რომელიც ედემს შეესატყვისებოდეს და ერთი დიდი მდინარიდან ოთხი მდინარე გადმოედინებოდეს. ეს გახლავთ კავკასიონის ქედის ზუსტად ცენტრში არსებული ფასის მწვერვალის ერთიანი მყინვართა სისტემა. იგი გაყინული წყლის ენებიდან მდინარეებად იქცევა და ველებს რწყავს. ორი მათგანი – ცხენისწყალი და რიონი (ჰიპოსი და ფასისი) **საქართველოში ჩამოედინება, ორიც – ჩერექი და ურუქი ჩრდილოეთ კავკასიაში** (ბერძენი ავტორების განმარტებით სკვითი სარმატების ქვეყანაში, ამჟამინდელ ყაბარდო – მალყარეთში).

ყოველივე ამას საფუძველს უმაგრებს ამ ედემში ქვედრულას ხეობის კარსტულ მღვიმეში 10 ათასი წლის წინანდელი ადამიანის ცხოვრების კვალის არსებობა. ამას სულ ახლახან დაემატა წყალტუბოს მახლობელ სატორგლიას კარსტული მღვიმის აღმოჩენა: გამყინვარების შემდგომი ადამიანების 25 ათასი წლის წინანდელი ერთადერთი კვალი, რომელიც აქ მუდმივმა ტემპერატურამ და კლიმატმა შემოინახა. მიწისქვეშა მე-4 შრის დონეზე შემორჩენილ საცხოვრისში მიაგნეს ადამიანის გენს, რომელმაც მთელი ევროპა დაასახლა, ამ გამოკვლევას ხელს აწერენ დიდი ბრიტანეთის, დანიის, ირლანდიის, ისრაელის და საქართველოს მეცნიერები. **აი, თურმე სად ცხოვრობდნენ ადამი და ევა, აი, საიდან გამოვიდნენ ისინი სამოთხის ბაღში!..** ბუნებრივია, გაისმის შეკითხვა: იმას რაღა ვუყოთ, რომ ადამიანის კვალი გაცილებით ძველ ხანაშიც იძებნება არაერთგან? რა თქმა უნდა, იძებნაბა და ამის მაგალითი ჩვენი „ზეზვა“ და „მზი“ არიან, მაგრამ, მითებს ამაზეც აქვს პასუხი: დაბალი გონებრივი შესაძლებლობის და ცხოველობის გამო, ისინი ენქიმ და ნინმახმა გაანადგურეს (ჩვენი თვალსაწიერით გამყინვარებას ემსხვერპლნენ). მათ იგიგები რქმევიათ. ზევით ნახსენებ შუმერულ ღვთაებებს, თურმე მხოლოდ ამის შემდეგ შეუქმნიათ ჩვენი წინაპრები!...

ახლა მთის რაჭის, უწინარესად კი ღებელების მეორე სათაყვანო მწვერვალზეც ვისაუბროთ, რომელსაც **ედენა** ჰქვია. აბა, ამ ტოპონიმის ქართული შინაარსით ახსნა ვცადოთ. ედენა, ვითომ ზედენაა და მას რაჭული დიალექტისთვის დამახასიათებელი თავთანხმოვანი ჩამოცილებული აქვს? არა მგონია. მაშინ მარტო ამ მწვერვალს რატომ აქვს ღების ზედანი (თავს ზევით) მთის სახელი.განა ფასის, წითელას, წიხვარგას და ზოფხიტოს მწვერვალებიც ამავე სიმაღლისანი არ არიან?!... მაგრამ ... მაგრამ საქმე ისაა, რომ „ედენა“ ედემის შუმერული ფორმაა და იგი დაახლოებით 5000 წლის წინანდელი ღმერთკაცის გილგამეშის ეპოსშია ნახსენები, იმ გილგამეშისა, რომელიც შუმერული ქალაქ – სამეფოს, ურუქის მმართველი იყო (გავიხსენოთ ფასის მყინვარიდან გამომდინარე ერთ-ერთი

ღების ახალი ეკლესია და „დედახვთისას“ მურყვამი



მდინარის სახელი – ურუქი). მთაგრეხილი შოდარუბო ძალის სახელიც თითქმის ზუსტად იმეორებს შუმერულ შოდა-რაბუს (მაღალ მთას), რომელიც უმაღლესი ღვთაებრიობის ეპითეტს წარმოადგენდა. **საყურადღებოა გილგამეშის მამის, მწყემსი მეფის ლუგალბანდის მიერ მოწყობილი 50-კაციანი ექსპედიციაც უკვდავების მთაში – ხურუმში. აღსანიშნავია, რომ უწერასა და გლოლას შორის მდებარე ადგილსაც ხურუმი ჰქვია,** ოღონდ მას რაჭული დიალექტის თანახმად პირველი ასო ჩამოცილებული აქვს და გამოითქმის როგორც **ურუმი**. ახლა სხვა მინიშნებებიც მოვიტანოთ: როდესაც გილიგამეში წმინდა კედრებისა და ცოცხალი კაცის ქვეყნისკენ გაემგზავრა, ღმერთკაცმა ენქიდუმ მას ურჩია, იმ მხარეში მზის ღვთაება უთუს უკითხავად არ წახვიდე, რადგან ის ქვეყანა მას ეკუთვნისო (გავიხსენოთ, რომ „რაჭა“ და „ამარანტი“ ეგვიპტური მზის ღმერთების სახელებისგან არის ნაწარმოები, ხოლო კოლხი აიეტი და მედეა სწორედ მზის შვილები იყვნენ). და კიდევ: შუმერული მითის თანახმად, წმინდა კედრების ქვეყანას დევგმირი ხუვავა იცავდა. ამის პარალელურად წმინდა კედრების: უთხოვარისა და კავკასიური სოჭის გავრცელების ერთ-ერთი კლასიკური რაიონი ზემო და ქვემო რაჭის სამეზობლო ტყის მასივებია. მათ „კარიბჭეში“ არის სოფელი **სხვავა (სხუვავა)**, ხოლო მის თავზე, მაღალ მთაზე აღმართული რაჭის აუღებელი ციხესიმაგრე **კვარა**, რომლის ფუნქცია – ყოფილიყო ტერიტორიათა უმთავრესი საგუშაგო – უხსოვარი დროიდან მოყოლობული შეუცვლელი იქნებოდა. მითის მიხედვით, გილგამეშმა ხუვავა მოკლა და წმინდა კედრები ურუქში წაიღო, რითაც მზის ღვთაება უთუ გაანაწყენა.

გონას ეკლესია და სპილენძის მაღაროში ჩასასვლელი

ყველა ეს პარალელი ამაზე ვრცლად და უკეთ განხილული და გაანალიზებული აქვს აწგარდაცვლილ მამა ავთანდილ გიორგობიანს. მისი წიგნი „რა საიდუმლოს ინახავს რაჭის მთები“ დიდად უნდა წაადგეს ეროვნული საღვთო კულტურისა და საერთოდ ჩვენი უძველესი ისტორიის ახალ მკვლევარებს. მე მის მოსაზრებებს ორი „პარალელით“ გავამყარებ და საამისოდ ისევ გილგამეშის თავგადასავალს მოვიხმობ: **1) ცოცხალი კაცის ქვეყანაში შესვლის წინ გალიგამეშს მოულოდნელად მკვდარივით ჩაეძინა და ენქიდუმ ძლივს გააღვიძა. პარალელი: გავიხსენოთ ვახუშტის მიერ აღწერილი უწერა, რომლის ახსნას წინა წერილში შეგპირდით. – უწერის მიდამოს, სინამდვილეში კი მის მინერალურ წყალსა და ნიადაგს ზედ გადაფრენილი ჩიტი მიწას ენარცხებაო. ლეგენდაში გმირ გილგამეშეს აკი აქ ჩაეძინა მოულოდნელად... უწერა მთის რაჭის კარიბჭეა, ხოლო ეს ტოპონიმი შუმერული ურის ენით, თურმე, სამლოცველოა (გრ. დიაკონოვის მოსაზრება); 2) გილგამეში ღმერთკაცია, ხოლო ცოცხალი კაცის ქვეყანა მისთვის იმ ადგილს წარმოადგენს, სადაც ჩვეულებრივი, მოკვდავი კაცი იშვა.**

ასეთი დამთხვევები შემთხვევითობა არისო, – იტყვის ძალიან ბევრი, მაგრამ მე, როგორც მცირედის ნაწილი, ვიკითხავ: – საეჭვოდ ბევრი ხომ არ არის ასეთი შემთხვევითობა .

* * *

გონას ეკლესიიდან ჩრდილოეთის საძიებელ პუნქტამდე ავტომანქანით მისვლას 20 წუთს ვანდომებთ, ამის მერე კი ქვეითად 200-300 მეტრს გავდივართ, ბოლოს ბორცვიან, ტყისპირა ველობთან ვჩერდებით. ირგვლივ ჟანგისფერი კლდის ფლეთილი ქვის გროვებია, კლდეში გაჭრილი ბილიკით მოზრდილ ხვრელში უნდა შევძვრე. ვეფხია გავაშელი მიხსნის, რომ ჩვენს წინ დაახლოებით 3 ათას წლის წინანდელი ორსართულიანი სპილენძის მაღაროა. ერთხელ ჩვენს თანამედროვეთაც კი მაღაროში 15 მეტრით წინ წაწევა მოუხერხებიათ, ახლა მას 2 მეტრის სიგრძეღა დარჩენია. წელში მოხრილი მაღაროში ბევრს ვერაფერს ვიღებ ფოტოაპარატით. შემოჭრილ მზის სხივზე ყრუ კედლები სპილენძისფრად ელავს აქა-იქ...

... სადაც სპილენძია, იქ ოქროც იქნება, სადაც ოქროა, იქ მისი დამუშავებაც ეცოდინებათ ... – ვფიქრობ არგონავტებივით, რომლებმაც მედეას ამარანტულით (ბერძენი მწერლების თქმით ტავრული ენით) ისარგებლეს, მაღაროელებს კარიბჭეები გაახსნევინეს, ოქროს საწმისი გაიტაცეს და მედეაც თან გააყოლეს.

მაღაროს ნარჩენებიდან სპილენძის შემცველ პატარა, ყველაზე კოხტა ქვის ნატეხს ვიღებ და ვფიქრობ: რა იოლია მითების მოყოლა, მაგრამ რა რთულია მათ სიღრმეში წვდომა, არადა, ღვთიური ბუნება არეული რომ არ გვქონდეს, არც ამ სიღრმეთა წვდომა გაგვიჭირდებოდა, ახლა კი ... ახლა ამ საბადოს ქვას ისე ვუფრთხილდები, როგორც ჩაკირულ, პირშეკრულ და დანატრებულ ეროვნულ ისტორიას – ეროვნულ განძს.

„ამის გაკეთება არ შეიძლება!“

გვანცა პეტრიაშვილი



ყველაფერი „ფილერზე“ – კოტე მათითაშვილი საზოგადოებას აფრთხილებს

ქალბატონები სახის მოცულობითი კორექციისთვის და ჰარმონიული პროპორციების აღდგენისთვის უამრავ ხერხს მიმართავენ. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შემავსებელი, იგივე „ფილერია“, არადა, უმრავლესობამ არ იცის, რომ მსგავსი პროცედურები, შეიძლება, სავალალოც აღმოჩნდეს. რა შემთხვევაში გვჭირდება „ფილერი“, რა დანიშნულება აქვს და რა უნდა ვიცოდეთ პრეპარატების შესახებ? – „ვერსიას“ პლასტიკური ქირურგი, კოტე მათითაშვილი ესაუბრა.

– ბატონო კოტე, განგვიმარტეთ, რა არის ე.წ. შემავსებელი?

– შემავსებელს სამედიცინო ტერმინოლოგიით ინპლანტს ეძახიან, თხევადი ინპლანტი. ნივთიერება, რომელიც თავსდება ქსოვილებში, ქსოვილების მოცულობის გაზრდის მიზნით.

– ძირითადად, რა ასაკის ადამიანები იკეთებენ ამ შემავსებელს?

– შემავსებელს მიმართავს ნებისმიერი ასაკის ადამიანი, 18 წლიდან (მანამდე არც არის რეკომენდებული) 60-70 წლამდე და უფრო ზემოთაც, ზოგიერთ შემთხვევაში.

– არასრულწლოვანი გოგონები, ძირითადად, მშობელთან ერთად მიდიან პროცედურის გასაკეთებლად. საინტერესოა, რამდენად არის რეკომენდებული არასრულწლოვანზე პროცედურის ჩატარება და ამ შემთხვევაში, ექიმი როგორ უნდა მოიქცეს?

– რეალურად, მომართვიანობა მშობელთან ერთად, ამ მიმართულებით იშვიათია, ყოველ შემთხვევაში, ჩემს პრაქტიკაში ასეა. ძირითადად, თავისით მოდიან ადამიანები, ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, როდის შეიძლება და სწორია თუ არა პროცედურის წარმოება მიუხედავად პაციენტის სურვილისა, რადგან პაციენტს შეიძლება, ჰქონდეს სურვილი, წარმოდგენა, ხშირად არასწორი, რომელიც უნდა აღმოაჩინოს ექიმმა, კონსულტაცია სწორად ჩატარდეს და გაკეთდეს დასაშვები პროცედურა.

– პროცედურისთვის ყველაზე მეტი მოთხოვნა რომელ ზონებზეა?

– ახლა აქტუალურია ცხვირის შემავსებლებით მოდელირება. ხშირია ამაზე მომართვიანობა და ცხვირის მოდელირება შემავსებლით არის ერთ-ერთი საკმაოდ რისკის შემცველი პროცედურა. დასაშვებია მხოლოდ მინიმალური რაოდენობით ამ საშუალების გამოყენება უმნიშვნელო კორექციის მიზნით. კომპეტენტური ექიმის ხელით უნდა შესრულდეს ამ ტიპის პროცედურები.

– როგორ უნდა მიხვდეს მომხმარებელი, რომ ექიმი-კოსმეტოლოგი ხარისხიან ინექციას იყენებს?

– საქმე ისაა, რომ მაგალითად, აშშ-ში, კოსმეტოლოგებს ამ ტიპის პროცედურების წარმოების უფლება არ აქვთ. ამ პროცედურის წარმოების უფლება ენიჭება ან პლასტიკურ ქირურგს, ან ექიმ-დერმატოლოგს, სათანადო კვალიფიკაციის გავლის შემდეგ, ან ესთეტიური მედიცინის სპეციალისტს, რომელსაც აქვს გავლილი ძალიან მკაცრი და ხანგრძლივი მზადების კურსი, რათა გააკეთოს საინექციო პროცედურა. საქართველოში, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არ არის რეგულაციები, რაც ხშირად სავალალო შედეგებით სრულდება.

– რა გართულებები შეიძლება, გამოიწვიოს არასწორმა ინექციურმა პროცედურამ?

– დაწყებული ადამიანის მომენტალური დაბრმავებით, (ხშირია ეს შემთხვევები მსოფლიო პრაქტიკაში), დეფორმაციით, დამთავრებული – ქსოვილების იშემიითა და ნეკროზით. ბევრი გართულება ახასიათებს, მათ შორის, ესტეტიური თვალსაზრისითაც, როდესაც დაგეგმილი პროცედურა ვერ აღწევს სასურველ შედეგს და იწვევს არასწორად მიღებულ ესტეთიურ რეზულტატს. იმის გასწორება შემდეგ უკვე არის ძალიან რთული.

– ხშირია შემთხვევა, როდესაც გოგონებისთვის არასწორად ჩატარებული პროცედურა სავალალო შედეგებამდე მისულა... ჩვეულებრივ, სილამაზის სალონებში აკეთებენ მსგავსი ტიპის პროცედურებს და საინტერესოა, რამდენად მოწმდება ეს პროცესი?

– არა მარტო სალონებში, სახლის პირობებშიც კეთდება მსგავსი პროცედურები. მსოფლიოში ესტეთიკური მედიცინის სალონები ბინებში ბევრ სპეციალისტს აქვს გახსნილი. ევროპაში, ამერიკაში, თურქეთში ძალიან პოპულარულია და არ არის აუცილებელი, კლინიკაში გახსნა, მაგრამ სტრუქტურულად უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ პროფესიონალი ვინც ამას აკეთებს, იყოს, როგორც აღვნიშნე, ამ დარგის სპეციალისტი. თუ გუშინ კურსები გაიარა და სერტიფიკატი აიღო, ეს არ აძლევს ადამიანს უფლებას, აწარმოოს საინექციო პროცედურა. კონკრეტულად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საინექციო პროცედურები, სახის წმენდა, კოსმეტოლოგიური თუ სხვა პროცედურების წარმოება ამასთან კავშირში არ არის, მათ შორის, აპარატურული ტექნოლოგიების გამოყენებაც, თუმცა იქაც სათანადო მზაობაა საჭირო. ჩვენთან ამის კონტროლი არ არსებობს, სამწუხაროდ.

– ბატონო კოტე, თუ ეს ყველაფერი არ კონტროლდება და ადამიანი დაზარალდა არასწორი საინექციო პროცედურის გამო, ამ შემთხვევაში, ვის უნდა მიმართოს?

– ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი კომპეტენტური სპეციალისტი მუშაობს. რა თქმა უნდა, კარგი სპეციალისტები ბევრი გვყავს საქართველოში, თავის საქმის პროფესიონალები. ასეთი არჩევანის გაკეთების საშუალება ყველას გვაქვს. საქმე ისაა, რომ „იაფი პროცედურა“ არასდროსაა სახარბიელო და მიმზიდველი. ამ დროს აღარ აკვირდებიან, ვინ რას აკეთებს, რა პრეპარატია, რამდენად აპრობირებულია ეს პრეპარატი მსოფლიო პრაქტიკაში ან სპეციალისტი რამდენი ხანია, მუშაობს ამ პრეპარატით. ამიტომ, სამწუხაროდ, ძირითად შემთხვევაში მომხმარებლები ზარალდებიან. შემდეგ იწყება გადაბრალებები, რომ ორგანიზმია ასეთი, არ მიიღო და ხშირად მისტიური ალერგიის თემაა გამოტანილი წინა პლანზე, თუმცა ასე არ არის.

– E ვიტამინზეც გვესაუბრეთ, რა შედეგებამდე მივყავართ და რა დაზიანების გამოწვევა შეუძლია მას?

– ეს ზუსტად იგივეა, როგორც ჩემი კოლეგა გუგა ქაშიბაძე, დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი, ხშირად ამბობს, ლეღვის ნახარშით რუჯის მიღება, პარადოქსული სიგიჟეაო! დაუშვებელია, ეს არის თვითდაზიანება. E ვიტამინის გამოყენებით, მაგალითად, ტუჩების მოცულობის გაზრდა, ეს იგივეა, ცემენტით რომ სახე დაიბანო და თქვა, რომ სკრაბი გამოიყენე ან ქვანახშირით რომ კბილები გაიხეხო და თქვა, კბილები გავითეთრეო. ეს არის აბსოლუტურად დაუშვებელი, მიუღებელი, არალეგალური პროცედურა, რომელიც არანაირ კავშირში არ არის მსგავს პროცედურებთან!

– კი, მაგრამ ამ ინფორმაციის მიუხედავად, რატომღა მიმართავენ მსგავს პროცედურებს, რით ხსნით ამას?

– ამის მიზეზი, პირველ რიგში, ინფორმაციის დეფიციტია, ასევე განათლებისა და კიდევ სხვა პრობლემა, რომელზეც კომენტარსაც ვერ გავაკეთებ, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ შეიძლება ადამიანმა ეს გააკეთო?!

– ბატონო კოტე, ვისაუბრეთ შემავსებლის შემთვევაში სხვადასხვა დაზიანებებზე, E ვიტამინმა კონკრეტულად რა დაზიანებები შეიძლება, გამოიწვიოს?

– E ვიტამინი არის ბლანტი სითხე, რომელიც ამპულებშია მოთავსებული და კეთდება ვიტამინოთერაპიის მიზნით კუნთებში სრულიად სხვა დანიშნულებით. რადგან ბლანტი სითხეა, ვიღაცამ ოდესღაც „მოსინჯა“ და მიიღო შედეგად, რომ მოცულობაში ქსოვილმა მოიტამა. ამის შედეგად შეიძლება, განვითარდეს მწვავე ანთებითი პროცესი, ქსოვილების ნეკროზი, შეშუპება, ძალიან ხანგრძლივი რეგენერაციის პროცესი, დეფორმაციები – მოკლედ, უმძიმესი პროცესები. ეს არის აბსოლუტურად დაუშვებელი რამ, არ შეიძლება ამის გაკეთება!

სამართალი

№17 4 მაისი 2022 წ

ადამიანები, რომლებმაც სააკაშვილის ციხის ჯოჯოხეთი გამოიარეს

ბათო ჯაფარიძე

„ნაციონალური მოძრაობა“ პერმანენტულ აქციებს აანონსებს. როგორც პარტიის ლიდერები ამბობენ, გამორიცხულია, აქციები მანამ შეწყვიტონ, სანამ მიხეილ სააკაშვილს არ გაათავისუფლებენ და სამკურნალოდ სხვა ქვეყანაში არ გადაიყვანენ. ულტიმატუმის ენით საუბრობს ექსპრეზიდენტის ოჯახიც და ისე ჩანს, აქციებში ისინიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. ყველაფერ ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ექიმთა დასკვნით, სააკაშვილს ანორექსია აქვს და პარალელურად, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მძიმეა ანუ ის ვერ გამოჯანმრთელდება ციხის პირობებში, რადგან ვერ იტანს, რომ ფანჯრებს გისოსები აქვს და პირადად მას ბადრაგი დარაჯობს. მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, მიშამ ციხე ვერ აიტანა და რომ ეგონა, ყველაფერი მარტივად იქნებოდა, ან ავად თუ კარგად, ერთ-ორ თვეს გაძლებდა, არ გამოვიდა. ზუსტად შვიდი თვეა, რაც სააკაშვილი ციხეშია და ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ ის არა მარტო მორალურად, არამედ, ფიზიკურადაც გატეხილიყო, თანაც იმის შეგრძნება, რომ წინ კიდევ ხუთ წელზე მეტია, ადამიანს შინაგანად ანგრევს.

როგორ იძია შური გიგა ბოკერიას ნათესავმა 29 წლის ლევანზე – ამბები, რომელთაც ცრემლების გარეშე ვერ წაიკითხავთ

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ პირობებში, რომელშიც სააკაშვილი იხდის სასჯელს, ხელისუფლებაში მისი ყოფნის დროს, არცერთი პატიმარი არ იმყოფებოდა. ჰო, არცერთ პატიმარს არ ჰქონდა უფლება, ამანათი ყოველდღიურად მიეღო და რაც მთავარია, მის დროს აკრძალული იყო ამანათით ყველისა და კიტრის შეგზავნა. ახლა კი, სააკაშვილი მხოლოდ კიტრითა და უცხიმო სულგუნით იკვებება და გარკვეული პრობლემების გამო, ერთი დღე ამანათი რომ არ შევიდა, მისმა მხარდამჭერებმა ხმაური ატეხეს, მიშას ჩაგრავენ, არაადამიანურ პირობებში ამყოფებენო.

საზოგადოებას ისიც ემახსოვრება, როგორ გადაიყვანეს სააკაშვილი საავადმყოფოში და როგორ არ ჩადიოდა მანქანიდან და შემდეგ, ოთხმა ბადრაგმა როგორ გაათრია საკანში. ესეც არაადამიანურ მოპყრობად შეფასდა. ბატონებო და ქალბატონებო, რას ნიშნავს „არაადამიანური მოპყრობა“, სახელებითა და გვარების ინიციალებით, ახლა გიამბობთ. რატომ არ ვწერ კონკრეტული პატიმრების გვარებს, მათი ისტორიებიდანაც მიხვდებით და ყველაფერ ამას, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები უბრალო გადაცდომაას უწოდებენ. ჰოდა, იყო ეს გადაცდომა თუ სისტემური დანაშაული, იცოდნენ თუ არა „ნაცმოს“ ლიდერებმა, რა ხდებოდა ციხეებში, თავად განსაჯეთ.

გიორგი ლ. (27 წლის, გასამართლებული ძარცვის მუხლით) – გლდანის ციხეში მიყვანის შემდეგ, კარანტინის დაშლა ორჯერ გამატარეს, რადგან პირველ ჯერზე, თვალთან სილურჯე გამიჩნდა და ასეთ მდგომარეობაში საკანში არ ამიყვანეს. მცემდნენ უმოწყალოდ და მცემდა, დაახლოებით, 12-15 ზედამხედველი. კარანტინის მეორედ დაშლის დროს, ისევ მცემეს, ოღონდ ამჯერად თავში არ მირტყეს, ავიყვანოთ საკანში, თორემ აყროლდა უკვეო. მოგეხსენებათ, კარანტინში ჰიგიენის ნორმები არ იყო დაცული და ბანაობა კი არა, ხელ-პირის დაბანაც ძნელდებოდა. საკანში ასვლიდან მეორე დღეს, დამეწყო ტკივილები მუცლის არეში, სამი დღის განმავლობაში, ამაოდ ვითხოვდი ექიმს, მეოთხე დღეს უკვე გინებაზე გადავედი, რადგან ტკივილის გამო, წინა ღამით, რამდენჯერმე გავითიშე და ბიჭებმა მომასულიერეს. გინება არ მაპატიეს, ისევ მცემეს და გრძნობა დავკარგე. აზრზე რომ მოვედი, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვიყავი და ნაკერები მედო. როცა ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი, მითხრეს, რომ დაზიანების გამო, ერთი თირკმელი და ერთი საკვერცხე ამომაჭრეს. როცა ვიკითხე, ან ნებართვა არ გჭირდებოდათ, ან ჩემი თანხმობა, ან იქნებ, გადარჩენა შეიძლებოდა რომელიმესი-მეთქი, მიპასუხეს, მადლობელიც არ ხარ, საოპერაციო მაგიდაზე რომ არ დაგტოვეთო?!

გოგა ჯ. (31 წლის, გასამართლებული ყაჩაღობაზე) – მეექვსე დაწესებულებაში გადამიყვანეს. გლდანში საშინლად მცემეს, მაგრამ, თურმე, უარესი წინ მელოდა. მეექვსეს დირექტორი მაშინ ლაშა ბრეგვაძე იყო და ნაცემი რომ წამიყვანეს საავადმყოფოში, არ ეგონა, რომ გადავრჩებოდი. ხანგრძლივი მკურნალობისა და ერთი საკვერცხის ამოჭრის შემდეგ, რუსთავის მე-17 დაწესებულებაში გადამიყვანეს და ბრეგვაძე დირექტორად უკვე იქ დამხვდა. როცა დამინახა, პირი დააღო, სახელი და გვარი მკითხა, ყოველი შემთხვევისთვის და გაოცებულმა დაამატა, ცოცხალი გადარჩიო?! არადა, ჩემს ცემაში, თავადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ზოგადად, მეექვსეს დირექტორობის დროს, მთვრალი თუ კაიფში მყოფი, შიგნით, კორპუსის ტერიტორიაზე, მოტოციკლით დაქროდა ბრეგვაძე და ბოლო ხმაზე ყვიროდა ხოლმე, ეს ციხე ჩემიაო. ბაჩო ახალიას კადრი და მეგობარი იყო, შესაბამისად, ყველაფრის უფლება ჰქონდა.

ლევან კ. (29 წლის, გასამართლებული ჩხუბის გამო) – ფიზიკურად ძალიან დიდი და ძლიერი იყო „კეთილი დევი“, რომელმაც საცოლის შეურაცხყოფა ვერ აიტანა და სამი კაცი რესტორანში ერთმანეთზე დააწყო. სამიდან ერთ-ერთი, გიგა ბოკერიას ნათესავი აღმოჩნდა, ბოკერია მაშინ ხელისუფლების ავანგარდში იყო, ლევანი ხულიგნობის ბრალდებით დაიჭირეს და სამი წელი მიუსაჯეს. ორთაჭალის ციხეში (მაშინ ჯერ გლდანის ციხე აშენებული არ იყო), იმჟამინდელი დირექტორის, თამაზ მელაძის დის შვილმა, ნაცემ და უკვე გათიშულ ლევანს ფეხებშუა მთელი ძალით ამოარტყა წიხლი. დაზიანება იმდენად დიდი იყო, რომ სათესლე ჯირკვალზე სიმსივნე განვითარდა და ლევანი ციხიდან ვადაზე ადრე, ჯანმრთელობის გაუარესების გამო გაათავისუფლეს, თუმცა ეს გათავისუფლებაც ცინიზმის მწვერვალი გახლდათ – გათავისუფლებიდან 4 საათში, ლევან კ. გარდაიცვალა. გარდაიცვალა გზაში, შინ, ლეჩხუმში ჩასვლაც ვერ მოასწრო. სხვათა შორის, მისი სიკვდილიდან მალევე, მელაძის დის შვილი ზედოზირებით კაიფში გაიპარა.

რამაზი ნ. (42 წლის, გასამართლებული ქურდობის მუხლით) – 4 წელი მქონდა მისჯილი, მუხლიც არ იყო ისეთი, რომ უნდა ვეცემე და დავენგრიე, მაგრამ გული მაინც არ „დამწყვიტეს“ და კარანტინის დაშლის დროს, პირველმა ალექსანდრე მუხაძემ დამარტყა. ეს ნიშნავდა, რომ საფუძვლიანად უნდა „გავეპრესე“. მირტყამდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ბოლოს კი, კბილებში მომხვდა წიხლი და კბილები გადმოვაფურთხე. გარდა იმისა, რომ სამი კბილი ფესვიანად მომძვრა, ორი კბილი ჩამემტვრა. ვინც არ იცის, ეს რას ნიშნავს, ვეტყვი, რომ ამ დროს, კბილის ნერვი ღიაა და საკვების მიღება კი არა, წყალსაც ვერ სვამ. სამი დღის შემდეგ, ციხის ექიმთან წამიყვანეს, რომელმაც გამაყუჩებლის გარეშე ამომიღო ორი ჩამტვრეული კბილი და ერთი ჯანმრთელიც მიაყოლა, დაჭიანებული იყო და მაინც გეტკინებოდაო. კბილებს როცა მიღებდა, ორჯერ გავითიშე და აზრზე ტკივილს მოვყავდი ანუ ტკივილი მთიშავდა და ტკივილი მაფხიზლებდა.

გიორგი ქ. (24 წლის, გასამართლებული იარაღის უკანონო ტარების გამო) – იცოდნენ, რომ იარაღით ვმოძრაობდი, მაგრამ თითქოს გული მიგრძნობდა ხოლმე და ვერასდროს მიჭერდნენ. ამიტომ, იარაღი მარტივად ჩამიდეს და გამასამართლეს. ერთ ჩვეულებრივ დღეს, რუსთავის ზონაზე, იმჟამინდელი მინისტრი, ხათუნა კალმახელიძე შემოვიდა თანხმლებ პირებთან ერთად. მე ეზოში ვიყავი ჩაცუცქული სხვა პატიმრების გვერდით და როცა კალმახელიძემ ჩაგვიარა, მოგვესალმა, ჩვენც მივესალმეთ. როცა ის წავიდა, ჩვენთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის, დავით ჭაკუას მოადგილე, გაგა მკურნალიძე მოვიდა და თქვა, ესენი კარცერშიო. იქ კი გვითხრა, რომ, თურმე, კალმახელიძეს გული დასწყდა, ჩვენ ფეხზე რომ არ წამოვდექით და ჩაცუცქულები დავრჩით. მეეჭვება, მინისტრ ქალს ამისთვის ყურადღება მიექცია, მაგრამ მკურნალიძე ხომ ჯალათი იყო, მუდმივად სისხლი სწყუროდა და ამიტომ, დაუნდობლად გვცემა მან და დეპარტამენტის სპეცრაზმის რამდენიმე წევრმა. ცემის შედეგად, ელენთა გამისკდა და ამომაჭრეს. ამ ამბიდან ცოტა ხანში, ნაღვლის ბუშტიც ამომაჭრეს და გატეხილი ნეკნები არასწორად რომ არის შეხორცებული, ახლაც მეტყობა.

ირაკლი ღ. (28 წლის, გასამართლებული ძარცვის ბრალდებით) – ხელოსნად ვმუშაობდი ერთ-ერთ კორპუსში და ძარცვაც იქ მოხდა. სამართალდამცავებმა პერიმეტრი გადაკეტეს და საბოლო ჯამში, იმ კორპუსში უცხოები მხოლოდ მე და ჩემი მეგობარი ვიყავით. ესენი გაძარცვავდნენო, მარტივად გადაწყვიტეს და იმის მიუხედავად, რომ ორ გოგოზე წართმეული ჩანთა, ოქროული და მობილურები არ გვქონდა, თავად გოგონებიც ამბობდნენ, მძარცველებს ფიზიკურად არ გვანანო, მაინც ჩვენ გაგვასამართლეს. აღიარებით ჩვენებას არ ვაძლევდით, რის გამოც, გლდანის ციხეში, მუხაძის ხელმძღვანელობით, რამდენჯერმე გვცემდნენ. ასე დავკარგე ერთი თირკმელი და მხედველობა მარცხენა თვალში...

P.S. ექიმმა ლევან ფერაძემ განაცხადა, სააკაშვილი ისეთ ადგილას უნდა გადავიყვანოთ სამკურნალოდ, სადაც ყველაფერთან ერთად, ჩიტების ჭიკჭიკის ხმასაც გაიგონებსო. და გალიით რომ შევუყვანოთ ჩიტები საკანში, არა?!

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის რეჟისორი, რომელიც საბავშვო ბაღის სარდაფში გარდაცვლილი იპოვეს

მოწმის სკანდალური ჩვენება

ადრე რეჟისორებს ყველა იცნობდა და მათ ჩამოთვლას დიდი დრო არ სჭირდებოდა. იცოდნენ გენიალური ელდარ შენგელაია, მიშა ჭიაურელი, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ჩხეიძე და კიდევ არაერთი ჩინიანი თუ უჩინო რეჟისორი. ახლა კი მთავარია, შესაბამისი დაფინანსება იშოვოს და ფილმს იღებს ნებისმიერი, ვისაც ამის სურვილი აქვს. მერე რა, რომ ხშირად ასეთი ფილმები ერთი ნახვის შემდეგ გავიწყდება, სამაგიეროდ, ტიტრებში რეჟისორისა თუ პროდიუსერის გვარები წერია და ის შთამომავლობას რჩება. ჰო, ამ კონკრეტული პირების შთამომავლობას, თორემ მეეჭვება, კინოხელოვნებაში რამე ღირებულს ქმნიდნენ.

ჰოდა, აგერ, 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, სწორედ ასეთი რეჟისორი იპოვეს გარდაცვლილი ერთ-ერთი საბავშვო ბაღის სარდაფში. ბავშვებს ბურთი ჩაუვარდათ, მის ამოსატანად ჩავინენ და გარდაცვლილიც იქ ნახეს. ადგილზე მისულ სამართალდამცავებსა და ექსპერტებს საინტერესო სურათი დახვდათ – გარდაცვლილი რეჟისორის (უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, ახალგაზრდა კაცის) წინ ჩართული ვიდეო-კამერა იდგა, თავად გვამი კი ორივე ხელით ეკიდა კედელზე და გულის მხარეს დანა ჰქონდა გაყრილი. ხელებზე გარდაცვლილს ბორკილები ედო, ბორკილების მეორე ბოლო კი კედელზე, სპეციალურად შერჭობილ რკინის კაუჭებზე იყო მიმაგრებული. ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ ვიღაცამ მსხვერპლი ჯერ ბორკილებით მიაბა, შემდეგ კი გულში დანა გაუყარა და რაც მთავარია, ყველაფერი ეს ვიდეოზე გადაიღო. რაღა თქმა უნდა, ვიდეო-კამერა სამართალდამცავებმა ექსპერტიზაზე წაიღეს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ იქ მკვლელი არ გამოჩნდებოდა, თუმცა მწარედ მოტყუვდნენ.

„ვიდეოში ნათლად ჩანს, რომ მსხვერპლი საკუთარი ხელით, მარცხენა ხელს იბამს ბორკილით, შემდეგ, მარჯვენა ხელით გულში ირტყამს დანას, შემდეგ, დაჭრილი, მაღლა სწევს მარჯვენა ხელს, უყრის ბორკილში და კედლის დახმარებით, იდებს მეორე ბორკილსაც. ყვირის, რომ სამყარო მის სიკვდილს იხილავს და მიხვდება, რა საშინელია ცხოვრება, ხოლო შემდეგ სისხლისგან იცლება და კვდება. იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდამცავებს, ლამის მთელი ფილმი ჰქონდათ მომხდართან დაკავშირებით, მშვიდად შეეძლოთ, საქმე სუიციდის ვერსიით დაეხურათ, მაგრამ კადრი გრძელდება და დაახლოებით, 40 წუთის შემდეგ, ვიღაცის ხმა – „ვახ, ჩემი“ – ისმის და ის ვიღაც ქრება. შესაძლოა, ეს შემთხვევითი ადამიანი ყოფილიყო, მაგრამ იმავე კამერაზე, კედელზე ჩანს ჩრდილი, რომელიც ირხევა, თითქოს ვიღაც დგება და ხმა სწორედ შემდეგ ისმის ანუ იქ მკვლელობის დროს კიდევ ვიღაც იყო და სამართალდამცავებს სწორედ ეს ვიღაც უნდა ენახათ. საქმით დაინტერესდა უშიშროების სამსახურიც, რადგან გამოითქვა ვერსია, რომ შესაძლოა, რეჟისორი დააჰიპნოზეს და აიძულეს, სუიციდამდე მისულიყო. სხვაგვარად, გარდაცვლილის დიდება არც არავის სჭირდებოდა, მით უმეტეს, კიდევ გავიმეორებთ, გარდაცვლილს რეჟისორი პირობითად ერქვა, საძმაკაცო-სანათესაოში მოგროვილი ფულით, ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ჰქონდა გადაღებული და იქ მოთამაშე დამწყებ მსახიობებსაც ჰონორარი ვერ გადაუხადა.

„ის დიდი რეჟისორი იყო, ძალიან დიდი, მაგრამ ბოლო დროს, იმის გამო აიჭრა, რომ ფული ისესხა ერთ-ერთი კრიმინალისგან ფილმის გადასაღებად, ფილმს ვერ იღებდა, ის ფულიც შემოეხარჯა და ის კრიმინალი კიდევ ყოველდღიურად აწუხებდა, რამდენჯერმე სასტიკადაც სცემეს და ალბათ, მან მოკლა“, – განაცხადა გარდაცვლილის დამ და კრიმინალური ავტორიტეტის სახელიც თქვა. გამომძიებლებს სავარაუდო დამნაშავე დაკითხვაზე ერთ საათში ჰყავდათ.

„ეგ იდიოტი სადღაც ბარში გავიცანი, განგრეული მთვრალი ვიყავი, იმან კიდევ დაბოლება დამიწყო, პროდიუსერი გახდი, ფილმის დაფინანსება შენს სახელსაც კულტურასთან გააიგივებს, კრიმინალს აღარ დაგიძახებენ, თან ისეთი სცენარი მაქვს, მილიონებს მოვხსნიო და, სიმართლე გითხრათ, „ჰა პიანკე“, ჩემებს დავავალე და იმავე საღამოს, 50 ათასი დოლარი მივეცი. ერთი კვირა არ გამოვფხიზლებულვარ, მერე რომ გამახსენდა, რა ვქენი, მაგრად ვინანე და იმ დებილს დავადექი, მაყუთი დააბრუნე-მეთქი. იმან კიდევ, რეკვიზიტები მაქვს შეკვეთილი, მსახიობებს ჰონორარის ნაწილი წინასწარ მივეცი, ფილმს კი არა, ბომბს ვიღებო. მოკლედ, არ მჯეროდა, რა, კაცს უყურებ, აფერისტია და არაფრის გადამღები ეგ არაა. ამიტომ, კვირაში ერთხელ ან ორჯერ, „დავამუშავებდი“ ხოლმე და ვახსენებდი, რომ ეს მტკივნეული პროცედურა დასრულდებოდა ვალის გადახდისთანავე. ის კი მეუბნებოდა, აუცილებლად გადავიხდიო და გადახდა დაიწყო კიდეც. მართალია, მცირე ნაწილით, მაგრამ მაინც დაიწყო და როგორ გგონიათ, კაცს, რომელსაც ჩემი 50 ათასი ემართა და რომელმაც გადახდა დაიწყო, მოვკლავდი?“, – დაასრულა მოყოლა დაკავებულმა და მისი განცხადება ძალიან ლოგიკურად ჟღერდა.

50 ათასი არ იყო პატარა ფული და რეჟისორს გადახდა რომც არ დაეწყო, მისი მოკვლით კრიმინალი მაინც ვერ იხეირებდა, მკვდარი თანხას საერთოდ არ გადაიხდიდა.

ძიების პროცესში ისიც გაირკვა, რომ გარდაცვლილს ვალები, პრაქტიკულად, ყველგან ჰქონდა და ყველას ეუბნებოდა, რომ გადაუხდიდა, რადგან საოცარი სცენარი ჰქონდა და ვენეციის კინოფესტივალზე მთავარ ჯილდოს მიიღებდა, მერე კი... მერე არათუ ჰოლივუდისკენ ექნებოდა გზა ხსნილი, არამედ, ყველა მასთან გადაწყვეტდა საქმის დაჭერას. მის სახლში სამი ფილმის სცენარი ნახეს, სამივე ერთი და იმავე პიროვნების დაწერილი, მაგრამ არცერთი იყო ისეთი, ვენეციის კინოფესტივალი კი არა, ქართული კონოთეატრები რომ გაექაჩა. მეტიც, დამ თქვა, ამ სამი სცენარიდან მხოლოდ ერთი ჰქონდა წაკითხული და ამბობდა, იდიოტიზმიაო. რაც მთავარია, სცენარისტი სამივე სცენარში ჰონორარს ითხოვდა, ვიშრომე და გადამიხადეო და ამის ნიადაგზე, რეჟისორთან მუშტი-კრივიც გამართა, თან არაერთხელ.

ადრეც ასე იყო და ახლაც – მსახიობები ერთმანეთს ფეხს ისე მშვიდად უდებენ, თქვენი მოწონებული და, შესაბამისად, სამართალდამცავებს არ გაჰკვირვებიათ, როცა განყოფილებაში ანონიმური წერილი მიიღეს, ერთ-ერთი დამწყები მსახიობი ყველაფრის აზრზეა, ზუსტად იცის, რატომ მოიკლა თავი რეჟისორმა და ის დაკითხეთო. მითითებულ მსახიობს რომელიღაც ფილმში იღებდნენ და მისი მოძებნა გადასაღებ მოედანზე მოხერხდა. სამართალდამცავების დანახვისას ისე დაიბნა, საუბარიც კი ვერ მოახერხა, განყოფილებაში კი საერთოდ აკანკალდა. ძალოვნებმა ეს კანკალი მხოლოდ შოკს და შიშს არ დააბრალეს და ანალიზი აუღეს, რითაც დადასტურდა, რომ დაკავებული ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო. გამომძიებლებმა მსახიობს ექსპერტიზის დასკვნა დაუდეს და უთხრეს, თუ ყველაფერს არ მოყვები, ნარკოტიკების მოხმარების გამო, ციხეში იმდენ ხანს გაგიშვებთ, მსახიობობა კი არა, ოჯახს შენი არსებობა დაავიწყდებაო. მანაც ერთი ამოიხვნეშა და დაიწყო.

„წლებია, გარდაცვლილთან ვმეგობრობ, მის რამდენიმე ფილმში უსასყიდლოდ ვითამაშე, მაგრამ ფილმები არ იყო ისეთი, ვინმეს მოსწონებოდა. ამას თავადაც ხვდებოდა და თქვა კიდეც, რაღაც ისეთი მინდა, სენსაცია რომ იქნება, ერთ დღეში აღიარებას რომ მომიტანსო. ჰოდა, სადღაც მოკრა ყური, რომ არსებობს ასეთი, „Snuff Film“-ს, რაც განსხვავებული ჟანრია. ეს ჟანრი მიზნად ისახავს, მაყურებელს აჩვენოს რეალური თვითმკვლელობის სცენები, ამ ფილმების პოპულარიზაცია სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რამდენად რეალურად და სასტიკად მოიკლავს ადამიანი თავს. რაც მთავარია, არ არის აუცილებელი, მართლა მოკვდე, საკმარისია, ბეწვის ხიდზე გაიარო, ოღონდ ეს უნდა იყოს ნამდვილი, რეალობასთან ძალიან ახლოს კი არა, ყველაზე რეალური, რაც ოდესმე გინახავს. ჯერ მეუბნებოდა, შენ ქენიო და როცა კატეგორიული უარი მიიღო, მერე მითხრა, მე ვიზამ, ოღნდ შენი დახმარება დამჭირდებაო. ამაზეც უარი ვუთხარი, მაგრამ შემდეგ საიდანღაც სუფთა მორფინი მოიტანა და იმით „დამკერა“. ჩანაფიქრი ასეთი იყო – მას დანა უნდა შეერჭო გულის მხარეს, გულამდე დაახლოებით 1 სანტიმეტრი დარჩებოდა, შემდეგ კი, როცა გაითიშებოდა, მე უნდა ჩამომეხსნა, გადასხმა დამეყენებინა, მოკლედ, უნდა გადამერჩინა. ყველაფერი გათვლილი ჰქონდა, ეს ჭრილობა არ იქნებოდა სასიკვდილო, თუ მე დროზე მივეშველებოდი. შემდეგ ეს ფირი ვენეციის ფესტივალზე უნდა გამეგზავნა და როცა პრიზს აიღებდა, მომდევნო ფილმებში, რომელსაც დაუკვეთავდნენ, მეც ვითამაშებდი. ადგილზე რომ მივედი, მორფი გავიკეთე და დამეძინა. რომ გავიღვიძე, ის უკვე მკვდარი იყო, სისხლისგან დაიცალა. შემეშინდა, ძალიან შემეშინდა და გავიქეცი. მე არ მომიკლავს, მე, უბრალოდ, ჩამეძინა“, – დაასრულა მოყოლა მსახიობმა და ატირდა.

ამ საქმეზე არავინ დაუკავებიათ, ხოლო ფილმი... ის ვენეციის ფესტივალზე არავის გაუგზავნია და, როგორც ამბობენ, არც ოჯახისთვის დაუბრუნებიათ.

ბათო ჯაფარიძე

ძალიაან მცირე რაოდენობით, მაგრამ ყოფილი ნარკომანები მართლა არსებობენ. ჰო, მართლა, რადგან მათი არსებობის ძალიან ცოტას თუ სჯერა და ამბობენ, ვინც ერთხელ ნარკოტიკს გასინჯავს, შემდეგ მუდმივად აქვს იმის ცდუნება, რომ კიდევ გაიკეთოს და ეს „კიდევ“ აღარასოდეს სრულდებაო. არსებობს სპეციალური კლინიკები,სადაც ნარკოდამოკიდებულ ადამიანებს მკურნალობენ, თუმცა ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ყველა ვერ ახერხებს. მკურნალობის ხარჯებთან ერთად, აუცილებელია, თავად ნარკოდამოკიდებული ადამიანის სურვილი და მტკიცე ნებისყოფა. სხვათა შორის, სპეციალური კლინიკების გარდა, ნარკოტიკების გადაგდების პირობას ე.წ. ექიმბაშებიც დებენ ხოლმე და ბალახეულობით, ხალხური მედიცინის სახელით ცდილობენ ამ მავნე სენთან ბრძოლას, თუმცა რამდენად ეფექტიანია ყველაფერი ეს, ვერ გეტყვით.

მკვლელობა ევროპელი დიპლომატის სახლში

სწორედ იმ წლებში, როცა ლამის ნახევარი საქართველო „ნემსზე იჯდა“, მილიციის განყოფილებაში საზეიმო კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მივიდა და განაცხადა, რომ საცოლე დაკარგა. უფრო ზუსტად, მისი საცოლე არც მმაჩის ბიუროში მივიდა და არც ხელმოწერის შემდეგ, რესტორანში შეკვეთილ სუფრაზე გამოჩნდა. შოკში იყო ყველა – სასიძო, მეჯვარეები, მეგობრები, გოგონას მშობლები და ძმა, რომლებიც რაიონიდან ჩამოვსვლისთანავე, რესტორანში მივიდნენ. წესითა და რიგით, გოგონა ჯერ სალონში უნდა წასულიყო, სადაც მეჯვარეც მივიდოდა, იქიდან კი – პირდაპირ მმაჩის ბიუროში, რადგან გოგოებს არ სურდათ, ნეფეს დედოფალი ხელმოწერამდე ენახა.

„დილით მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ სალონში ორი საათით ადრე დაიბარეს, ამიტომ იქიდან ჩემთან მოვიდოდა, მერე კი ერთად წავიდოდით. არაფერი მიეჭვია, ველოდი. რომ არ მოვიდა, სალონში წავედი და იქ მითხრეს, რომ მართლაც, ზუსტად იმ დროისთვის წავიდა, როგორც დაგეგმილი იყო და იქაურობა ტაქსით დატოვა. ყველაფერი ეს, ვიზაჟისტმა დაინახა და მეჯვარესაც სწორედ ის მოუყვა. ოფიციალურად, სამართალდამცავებს ვინმეს ძებნა რომ დაეწყოთ, 72 საათი უნდა ყოფილიყო გასული, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევა გახლდათ, ძალოვნებმა მაშინვე მოკვლევა დაიწყეს და რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, იქ მივიდნენ, სადაც სადედოფლო ბოლოჯერ ნახეს – სილამაზის სალონში.

მან თავად გვითხრა, თუ იქნება საშუალება, ადრე მირჩევნია ვარცხნილობის გაკეთებაო და როგორც კი ადგილი გათავისუფლდა, შევეხმიანეთ. მოვიდა, სასურველი ვარცხნილობა გაიკეთა და შემდეგ, ძალიან კარგ ხასიათზე წავიდა. აქვე, ჩვენი სალონის წინ, ტაქსი დგას ხოლმე და იმ ტაქსიში ჩაჯდა“, – სულ ეს იყო, რაც სალონის თანამშრომლებმა თქვეს.

საბედნიეროდ, ტაქსი კვლავ ჩვეულ ადგილზე იდგა, რა თქმა უნდა, მძღოლმა აღიარა, გოგონა აქედან მე წავიყვანე, თავიდან სხვა მისამართი მითხრა, მაგრამ შუა გზაში, მისამართი შეცვალა და წყნეთში წამიყვანა. ფული მომცა, დალოდების ფულიც მომცა და მითხრა, ნახევარ საათში თუ არ გამოვედი, წადიო. 40 წუთი ველოდე, არ გამოვიდა და წამოვედიო. ნახევარ საათში, სამართალდამცავები, მძღოლთან ერთად, იმ სახლის წინ იდგნენ, სადაც პატარძალი მიიყვანა და ერთმანეთს უხერხულად უყურებდნენ. სახლი ერთ-ერთი დიპლომატის საკუთრება გახლდათ, რომელიც იმ ეტაპზე, სწორედ დიპლომატიურ მისიაში იმყოფებოდა და შინ შესვლას ვერავინ ბედავდა, სანამ ადგილზე მინისტრის მოადგილე არ მივიდა. ევროპაში დიპლომატსაც დაუკავშირდნენ და მან განაცხადა, გასაღებს ჩემს მეგობარ ექიმს ვუტოვებ ხოლმე და კარი თუ ჩაკეტილია, ის გაგიღებთო. ექიმიც მალე მოიყვანეს, მაგრამ მან ჩუმად თქვა, გასაღები არ მაქვს, ჩემს პაციენტს მივეციო და... გაუჩინარებული გოგონას სახელი და გვარი წარმოსთვა. როგორც გაირკვა, ექიმი სწორედ ნარკოტიკზე დამოკიდებულებს მკურნალობდა და გოგონა მისი პაციენტი იყო.

მოკლედ, სამართალდამცავები, საქმრო, ექიმი და მეჯვარეები სახლში ერთად შევიდნენ და საპატარძლო კაბაში გამოწყობილი გოგონა გარდაცვლილი ნახეს. ის ხელბორკილით რადიატორზე იყო მიბმული და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბორკილის გასაღები იქვე, ხელის ერთ გაწვდენაზე ეგდო. გარდაცვალების ფაქტი ექიმმაც დაადასტურა და თან იქაურობას ხარბად ათვალიერებდა. ძალოვნებმა ექსპერტებს უხმეს და ყველას გარეთ გასვლა სთხოვეს, თუმცა ექიმი არ დაემორჩილა, ზუსტად ვიცი, მაინც დამიბარებთ დაკითხვაზე და თან მთავარი ეჭვმიტანილი ვიქნები, ამიტომ მირჩევნია, აქ დავრჩეო. გამომძიებლებმა უნდობლად ახედ-დახედეს, მაგრამ ექიმმა გააგრძელა, ამ ბორკილებზე, თერმოსზე, ზოგადად, ალბათ, ყველა ნივთზე ჩემი თითის ანაბეჭდები იქნებაო. ეს უკვე რაღაც ახალი იყო – ბორკილებზე თითის ანაბეჭდი, თანაც იმ ბორკილზე, რომლითაც გოგონა იყო მიბმული, ეჭვის საფუძველს კი არ იძლეოდა, პრაქტიკულად, პირდაპირი მტკიცებულება იყო.

„მე ევროპულ კომპანიებთან მაქვს ხელშეკრულება დადებული. ისინი ინოვაციურ პრეპარატებს მთავაზობენ, მე კი ამ ახალ პრეპარატებს ვთავაზობ საქართველოს მოქალაქეებს. ყველაფერი ნებაყოფლობითია, ვისაც სურს, რომ წამალი გადააგდოს, პროგრამაში ერთვება და არაფერს იხდის. პრეპარატები ბალახეებისგანაა დამზადებული. თერმოსით დაჰქონდა ხოლმე და როცა „ლომკა“ ჰქონდა, სვამდა. ეს ჩემი მეგობრის აგარაკია, აქ პაციენტები ხშირად მომყავდა, ბორკილებიც მქონდა, რადიატორზე ვაბამდი მხოლოდ იმიტომ, რომ წამლისკენ არ წასულიყვნენ. აქ ვინახავდი „ლომკის“ მოსახსნელ პრეპარატებსაც და როგორც ვნახე, რამდენიმე მათგანი გახსნილია. ეჭვი მაქვს, გოგოს სერიოზული შეტევა ჰქონდა და ამიტომ მიიღო. ისე კი მიკვირს, წესით, შეტევა არ უნდა ჰქონოდა და ბალახეულს უნდა მოეხსნა. რაც შეეხება გასაღებს, თავად მთხოვა, მომეცი, პირველ ღამეს აქ გავატარებთო და უარი არ მითქვამს. ზოგადად, ჩემს პაციენტებს ხელს ყველაფერში ვუწყობ“, – განაცხადა ექიმმა.

ექსპერტიზამ აჩვენა, რომ გოგნამ დიდი რაოდენობით ნარკოტიკი მიიღო, შემდეგ ასევე, დიდი რაოდენობით, მისი გასანეიტრალებელი წამალი და საბოლოოდ, გულმა ვერ გაუძლო. რაც მთავარია, ნარკოტიკი... სწორედ იმ თერმოსში იყო, რომელშიც ექიმი სითხეს ასხამდა. სხვა გზა არ იყო, ექიმი დააპატიმრეს, მაგრამ ის ჯიუტად იმეორებდა, გამორიცხულია, ჩემი ხელიდან მოხვედრილიყო ნარკოტიკი თერმოსში, დამნაშავე სხვაგან უნდა ეძებოთო. პარალელურად, დიპლომატიც ევროპიდან „აწვებოდა“ ძალოვნებს, ჩემი მეგობარი ექიმი მკვლელი არაა, არასწორ კვალს ადგახართო. სამართალდამცავებმაც იქიდან დაიწყეს, სადაც გოგო ბოლოს ნახეს – სილამაზის სალონიდან და თანამშრომლები კიდევ ერთხელ დაკითხეს.

„არაფერი მომხდარა, იქით ოთახში ჩვენ ვიყავით და რამდენიმე კლიენტს ვარცხნილობას ვუკეთებდით, ხოლო მეორე ოთახში მათი ჩანთები და მოსაცმელები ეწყო დივანზე. ჰო, ერთი ქალი მოვიდა, რომელიც ჩაწერის გარეშე ცდილობდა ფონს გასვლას, თუმცა ადგილი არავინ დაუთმო. ცოტა მოიცადა, მერე კლიენტების ჩანთები დაბლა დაყარა და გავიდა“, – ამას სალონის თანამშრომლები ერთ ხმაში იმეორებდნენ და ადასტურებდნენ, რომ ის უცხო ქალი მეორე ოთახში მარტო გარკვეული პერიოდი ნამდვილად იყო და მარტივად შეეძლო, თერმოსში ნარკოტიკი ჩაეყარა. სამართალდამცავებმა ეჭვი მეჯვარეზე მიიტანეს და მისი სურათი სალონის თანამშრომლებს ანახეს, მაგრამ ყველა შეთანხმდა, რომ ქალი, რომელმაც მცირე აურზაური მოაწყო, ასაკით გაცილებით დიდი იყო. მაშინ გამომძიებლებმა უცნაური რამ მოიფიქრეს – სალონის ყველა თანამშრომელი გოგონას გასვენებაში წაიყვანეს. როგორც წესი, მკვლელი არცთუ იშვიათად ესწრება საკუთარი მსხვერპლის დასაფლავებას და ამას იმიტომ კი არ აკეთებს, საკუთარი ნამოქმედარით ისიამოვნოს, არამედ იმიტომ, რომ მოუსმინოს ხალხს, გაიგოს, რა ვერსიები არსებობს და ვისზე აქვს ეჭვი მილიციას.

სალონის თანამშრომლებს გვერდში ოპერმუშაკები ედგნენ. მოულოდნელად, ერთ-ერთმა ძალოვნებს ანიშნა, რომ ქალი დაინახა, სხვებსაც შეახედეს და ყველამ თავი დააქნია, სალონში სწორედ ეს იყოო. სამართალდამცავებმა ქალი იქვე დააკავეს და ის... ექიმის მეუღლე აღმოჩნდა.

„დარწმუნებული ვიყავი და ახლაც ვარ, რომ ჩემი მეუღლე იმ გოგოსთან მღალატობდა. აბა, რატომ დაათრევდა აგარაკზე? როცა გავიგე, რომ ქორწილისთვის ემზადებოდა, ვიფიქრე, სამაგიეროს გადავუხდი-მეთქი და თერმოსში ნარკოტიკი ჩავუყარე. მინდოდა, საკუთარ ქორწილში ისეთ კაიფში ყოფილიყო, საქმროს მოყვანა გადაეფიქრა. არ მეგონა, თუ ამდენ „ნარკალს“ მიიღებდა, ეს რომ არ ექნა, გადარჩებოდა, კაიფიდან გამოვიდოდა, უბრალოდ, საკუთარ ქორწილს ძილში გაატარებდა“, – განაცხადა ქალმა.

საუბედუროდ, ექსპერტმა ისიც დაადასტურა, რომ „ნარკალის“ არანორმალური დოზა რომ არა, გოგონა გადარჩებოდა, თუმცა სავარაუდოდ, მან ვერ განსაზღვრა, თუ რა ოდენობის ნარკოტიკი ჰქონდა მიღებული, ვერც ის მოიფიქრა, საიდან მოხვდა მის სხეულში ამდენი წამალი და „ნარკალის“ გარდა, თერმოსიდან მუდმივად იღებდა „ბალახეულს“.

ექიმმა საქართველო მალე დატოვა და დღემდე კარიერას ევროპაში აგრძელებს, მის მეუღლეს კი გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის 7 წელი მისცეს.

პოლიციამ თბილისში, სამეგრელოში, გურიისა და იმერეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, გურიისა და იმერეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებულია ექვსი პირი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ლ.ჟ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 15 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1963 წელს დაბადებული ჯ.ჯ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს. პოლიციამ, ჯ.ჯ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო: კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ვინჩესტერის ტიპის სანადირო თოფი, მჭიდი და 20 საბრძოლო ვაზნა.

ამავე დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1968 წელს დაბადებული ზ.ღ. დააკავეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია ორლულიანი სანადირო თოფი, რევოლვერი და 15 საბრძოლო ვაზნა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1993 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.ა. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ზესტაფონში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 2 მჭიდი და 30 საბრძოლო ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლევი გ.მ. და 1967 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი ვ.ქ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, 2 პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

სასაზღვრო პოლიციამ ათ კილოზე მეტი „ჰეროინი“ ამოიღო – დაკავებულია უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა წითელ ხიდზე, სასაზღვრო სექტორის „ვახტანგისის“ დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ორი მოქალაქე – 1998 წელს დაბადებული უ.ტ. და 1989 წელს დაბადებული ე.მ. დააკავეს.

მათ ბრალად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადმოკვეთა, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და შემოტანა ედებათ.

დანაშაულები 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და მართლსაწინააღმდეგოდ შემოიტანეს ათ კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაური საქართველოს თავდაცვის ძალების დაარსების იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, საქართველოს თავდაცვის ძალების დაარსების 31 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.

ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

თავდაცვის სამინისტროს მეოთხე ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, პირადი შემადგენლობისთვის სიტყვით მიმართვისა და მილოცვის შემდეგ, სამხედროების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაზაზე გამოფენილი სამხედრო ტექნიკა და ეკიპირება დაათვალიერა. ვახტანგ გომელაურმა თავდაცვის ძალების დღე სამხედრო მოსამსახურეებს პირადად მიულოცა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოქალაქეთა შორის არსებული ფინანსური დავის „ქურდული წესით“ გარჩევის ფაქტი გამოავლინეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული აქტიური კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული ვ.გ. „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, 1965 წელს დაბადებული კ.თ. კი „ქურდული სამყაროს წევრისთვის“ ან „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით დააკავეს.

1967 წელს დაბადებულ მ.მ.-ს (მეტსახელად, „ყურშა“) „კანონიერი ქურდობისთვის“ ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს. რაც შეეხება 1985 წელს დაბადებულ ო.ს.-ს, მას „ქურდული სამყაროს წევრობისთვის“ ბრალი პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულ კ.თ.-სა და მის ნაცნობს შორის, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წარმოიშვა ქონებრივი დავა. აღნიშნული დავის მოგვარებაში ჩაერთნენ კრიმინალური ავტორიტეტები – ო.ს. და ვ.გ., რომლებიც დაუკავშირდნენ საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ – მ.მ.-ს (მეტსახელად, „ყურშა“) და ზ.მ.-ს (მეტსახელად, „გლეხოვიჩი“).

„კანონიერმა ქურდებმა“ თურქეთის რესპუბლიკაში მოდავე მხარეებთან ერთად, მოაწყვეს ე.წ. ქურდული გარჩევა. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ფინანსური დავის საგანი – მიწის ნაკვეთი უნდა გაყიდულიყო, მთლიანი თანხა უნდა გადარიცხულიყო „კანონიერ ქურდებთან“, რომლებიც მოგვიანებით გადაწყვეტდნენ თანხის განაწილების საკითხს.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო ბრალდებულების კუთვნილი მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთსა და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

დანაშაულები 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„კანონიერი ქურდობის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, ასევე, 223-ე მეოთხე პრიმა მუხლის პრველი ნაწილით მიმდინარეობს.

police.ge

რა ღირს მამარდაშვილი?!

ესპანური „ვალენსიას“ კიპერმა, გიორგი მამარდაშვილმა კიდევ ერთი საუცხოო შეხვედრა ჩაატარა და „ლევანტესთან“ დაპირისპირებაში, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ (მიმდინარე სეზონში მეორედ) დაასახელეს. მართალია, მატჩი ფრედ – 1:1 დასრულდა, მაგრამ ყველა აღარებს, რომ „ვალენსია“ მარცხისგან სწორედ მამარდაშვილმა იხსნა. ნამატჩევს, გუნდის თავკაცმა, ხოსე ბორდალასმა გიორგის თამაშს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი.

„როცა გიორგი იყიდეს და სწორედ რომ იყიდეს, რადგან გუნდის მეოთხე მეკარის ტრანსფერი ჩემი საქმე არაა, მეგონა, რომ მას ორი-სამი წლის შემდეგ მიეცემოდა შანსი, თუმცა ისე გამოვიდა, რომ ყველა მეკარე დაგვემტვრა და იძულებული გავხდი, ყურადღება მამარდაშვილისთვის მიმექცია. იმ მოკლე პერიოდში, რაც მას ჰქონდა, უზარმაზარი პროგრესი განიცადა. ვიტყოდი, ის წარმოუდგენლად გაიზარდა და ამაში, როგორც კლუბის, ისე მისი მონდომებისა და შრომის წვლილი უდიდესია. ახლა გავიგე, გამოსასყიდ ფასად გიორგის კონტრაქტში 20 მილიონი ევრო უწერია. ეს ციფრი სასაცილო იყო მაშინ, როცა მამარდაშვილი იყიდეს, რადგან ამის მეათედსაც კი არავინ გადაიხდიდა და სასაცილოა ახლაც, რადგან კლუბი მას 20 მილიონად, უბრალოდ, არ დათმობს და სავარაუდოდ, ხელშეკრულების ამ მუხლს გადახედავენ“, – განაცხადა ბორდალასმა.

იმის გასაგებად, თუ როგორ შრომობს მამარდაშვილი, მისი ინტერვიუდან ერთი ფრაგმენტიც კმარა. ჟურნალისტმა ქართველ მეკარეს ვალენსიაში გასეირნება შესთავაზა, შემდეგ კი ჰკითხა, რომელი იყო მისი საყვარელი ადგილი, რაზეც გიორგიმ მიუგო, რომ ქალაქში მეორედ გავიდა და მთელ დროს კლუბის ბაზაზე და სავარჯიშო მოედანზე ატარებს.

ოთხი მედალი ევროპიდან

ბულგარეთის ქალაქ სოფიაში, ძიუდოისტთა შორის, ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა ჯამში 4 მედალი და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა. ჩემპიონები ტატო გრიგალაშვილი (-81კგ.) და ლუკა მაისურაძე (-90კგ.) გახდნენ, ბრინჯაოს მედლები კი ეთერ ლიპარტელიანმა (-57კგ.) და გურამ თუშიშვილმა (+100კგ.) მოიპოვეს. საგულისხმოა, რომ ლიპარტელიანი გახდა პირველი ქართველი ქალი ძიუდოისტი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მედლის მოპოვება შეძლო.

კონტინენტის პირველობაზე, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, იჭიდავა ნაკრების კაპიტანმა და ლიდერმა, ვარლამ ლიპარტელიანმა. მოგეხსენებათ, ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ, ლიპომ კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, თუმცა შემდეგ გადაიფიქრა და ტატამზე კვლავ გავიდა. მართალია, ლიპარტელიანი უმედლოდ დარჩა, მაგრამ მის დაბრუნებას ევროპული მედია გამოეხმაურა და ეს ფაქტი ხაზგასმით აღინიშნა.

რამდენს მიიღებს კვარაცხელია სეზონში

ის, რომ ხვიჩა კვარაცხელია ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს, „ნეაპოლიში“ გადავა, უკვე იტალიური კლუბის პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტისმაც დაადასტურა. იტალიურმა მედიამ კი დაწერა, რომ გულშემატკივრები ქართველი ლეგიონერის ჩასვლას მოუთმენლად ელიან და დიდი იმედი აქვთ, რომ ხვიჩა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდება. მეტიც, იტალიელები იმასაც წერენ, რომ კვარაცხელია „ნაპოლისთან“ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, წლიურად კი ჯამაგირის სახით, 1.5 მილიონ ევროს მიიღებს. რაც შეეხება სატრანსფერო ფასს, ხვიჩას სანაცვლოდ, იტალიელები 8 მილიონ ეფვროს გადაიხდიან და ამ თანხის უდიდესი ნაწილი ბათუმის „დინამოს“ ერგება, დანარჩენი კი აგენტსა და სავარაუდოდ, ყაზანის „რუბინს“ შორის განაწილდება.

რაც შეეხება „რუბინს“. რუსეთში არსებული ვითარებისა და რუსული კლუბების ევროსარბიელიდან მოკვეთის შემდეგ, გუნდი, პრაქტიკულად, ყველა ლეგიონერმა და მათ შორის, კვარაცხელიამაც დატოვა. ამან კი ის მოიტანა, რომ მოწინავე სამეულში მებრძლი კლუბისგან აღარაფერი დარჩა და „რუბინი“ ახლა რუსულ პრემიერ-ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. ყველაზე კარგი კი ის გახლავთ, რომ ჩასაძირად განწირული გუნდი კვარაცხელიამ დროზე დატოვა და მომავალი სეზონიდან ქართველი გულშემატკივრები „ნაპოლის“ უქომაგებენ.

ანანიძემ კარიერა დაასრულაა

2009 წლის ზაფხულში, მოსკოვის „სპარტაკის“ მეორე გუნდიდან ძირითადში გამორჩეული ფეხბურთელი, 16 წლის ჯანო ანანიძე გადაიყვანეს. ჯანოზე რუსული კლუბი სერიოზულ იმედებს ამყარებდა, ხუთწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა და დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ მას რუსეთის ნაკრებში უნდა ეთამაშა. ნაკრებში ანანიძე საქართველომაც მოიწვია და ყველა მოუთმენლად ელოდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა 16 წლის ბავშვი.

„მე გავაკეთე არჩევანი, მე ქართველი ვარ და ვითამაშებ ჩემი ქვეყნის ნაკრებში“, – ეს ერთი წინადადება ჯანომ მაშინ სოციალურ ქსელში დაწერა და ყველა ქართველი გულშემატკივარი გააბედნიერა. იმავე წელს, ჯანომ იტალიის ნაკრების წინააღმდეგ, 16 წლის ასაკში, საქართველოს ეროვნული გუნდის მაისური პირველად მოირგო. მთლიანობაში კი, ამ 13 წლის მანძილზე, ჯანომ 45 შეხვედრა ჩაატარა, 7 გოლი გაიტანა და 6 საგოლე გადაცემა შეასრულა. ახლა კი...

29 წლის ასაკში, ანანიძემ კარიერის დასრულება გადაწყვიტა და ეს იმიტომ, რომ გაუთავებელი ტრავმები აწუხებს. როგორც თავად ჯანო ამბობს, სასწორზე ამჯერად მისი ჯანმრთელობა დევს და ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ, აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო. რა თქმა უნდა, ამ ასაკში კარიერის დასრულება ფეხბურთელისთვის ტრაგედიაა, თუმცა თავად ჯანომ უკეთ იცის, რომ ტრავმები მეტის გაკეთების შესაძლებლობას უბრალოდ არ მისცემს.

„2009 წელს, იტალიის წინააღმდეგ, ჯანოსთან ერთად, მოედანზე ვიყავი. ის ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა ნაკრებისთვის და საკუთარი ქვეყნის სახელს იცავდა. მადლობა, ჯანო“, – ეს განცხადება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა გაავრცელა.

„ატლეტიკო“ „რეალის“ ჩემპიონობას არ აღიარებს

პრიმერა-დივიზიონის 34-ე ტურში, მადრიდის „რეალმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ვადაზე ადრე გაინაღდა ჩემპიონის ტიტული. „სამეფო გუნდმა“ ოქროს მედლები ისტორიაში 35-ედ მოიგო და რაც მთავარია, „ბარსელონას“ ძალიან დიდი უპირატესობით გაუსწრო.

ესპანეთში არსებული ტრადიციის მიხედვით, თუ რომელიმე კლუბი ჩემპიონობას ვადაზე ადრე გაინაღდებს, დარჩენილ ტურებში მეტოქე გუნდი ვალდებულია, მას საჩემპიონო დერეფანი მოუწყოს. უფრო ზუსტად, ეს დაუწერელი კანონია და მას, პრაქტიკულად, ყველა ემორჩილება.

8 მაისს, მადრიდული დერბია – „ატლეტიკო“ „რეალს“ მასპინძლობს და ნომინალური მასპინძლები უკვე ამბობენ, რომ საჩემპიონო დერეფნის მოწყობას არ აპირებენ. მოგეხსენებათ, ეს ორი კლუბი ერთმანეთს მტრობს და გულშემატკივრებიც „რეალისთვის“ მისალოცად კი არა, ობსტრუქციის მოსაწყობად ემზადებიან. პრაქტიკულად, ყველა კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძალიან ცუდი იქნება, თუ „ატლეტიკო“ ტრადიციას დაარღვევს და საჩემპიონო დერეფანს არ მოაწყობს. ამის ნათელ მაგალითად მათ 2007 წელი მოჰყავთ, როცა იმავე „რეალმა“ ვადაზე ადრე იზეიმა ჩემპიონობა, დარჩენილი შეხვედრა კი მოსისხლე „ბარსელონასთან“ ჰქონდა. მაშინ არავინ ელოდა, რომ კატალონიელები „რეალს“ საჩემპიონო დერეფანს მოუწყობდნენ, მაგრამ მათ სიამაყეს გადააბიჯეს, ტრადიცია არ დაარღვიეს და ჩემპიონს ღირსეული დახვედრა და დერეფანი მოუწყვეს.

ბორის ბეკერი ციხეში ჩასვეს

1985 წელს, ბორის ბეკერი „უიმბლდონის“ მომგები ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი გახდა და ეს მიღწევა დღემდე ხელშეუხებელია. მთლიანობაში, მან დიდი მუზარადის 6 ტურნირი მოიგო, გახდა ოლიმპიური ჩემპიონი და გერმანიაში არა მარტო ყველაზე პოპულარულ, არამედ, ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მამაკაცად ითვლებოდა. მას იღებდნენ რეკლამებში, ჩუქნიდნენ მანქანებს, სახლებს... შემდეგ იყო სკანდალი, რომელშიც ბეკერი გაეხვა. მას რუსმა მეძავმა უჩივლა და განაცხადა, რომ ბეკერისგან შვილი ჰყავდა, რასაც თავად ჩოგბურთელი კატეგორიულად უარყოფდა და ამტკიცებდა, სექსი პრეზერვატივით მქონდა, ქალი ვერანაირად ვერ დაორსულდებოდაო. როგორც მერე გაირკვა, მეძავი ჭკვიანი აღმოჩნდა, მან გამოყენებულ პრეზერვატივთან ერთად კლინიკას მიაკითხა და ხელოვნური განაყოფიერებით ბავშვი გააჩინა. დნმ-ის ანალიზმა მამობა დაადასტურა და ბეკერს მაშინ, ცოლ-შვილის სასარგებლოდ, 2 მილიონი დოლარი გადაახდევინეს.

ზოგადად, ბეკერი კარგი ჩოგბურთელი იყო, მაგრამ ცუდი ბიზნესმენი გამოდგა. მას არ გაუმართლა არცერთ კაპიტალდაბანდებაში და 2017 წელს, გაკოტრებულად გამოცხადდა. მანამდე კი ჰქონდა სასამართლო პროცესი, სადაც 1.7 მილიონი ევროს გადასახადების დამალვა დაუმტკიცეს და ციხის ნაცვლად, სოლიდური ჯარიმა დააკისრეს. ჰოდა, გაკოტრების წესების დარღვევის გამო, ამჯერად, ბეკერის სასამართლო ლონდონში შედგა და მოსამართლემ მას 2 წლითა და 6 თვით, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლო დარბაზიდან ბორია პირდაპირ ციხეში გაგზავნეს და იმის მიუხედავად, რომ ადვოკატები განაჩენს გაასაჩივრებენ, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ბეკერს ამ ვადის მინიმუმ ნახევრის მოხდა მოუწევს, რის გამოც ციხეში, სულ ცოტა, 1 წელსა და 3 თვეს დაჰყოფს.

ბესიკ ხარანაული

ყველაფერს უნდა, სიყვარულად იწოდებოდეს

ყველაფერს უნდა,
სიყვარულად იწოდებოდეს,
ყვავილს არ უნდა,
რომ უბრალოდ ველზე ჭკნებოდეს,
თვალ-გული გამვლელს
მისკენ თუ არ გაექცეოდეს.
ვარსკვლავს არ უნდა,
ზეცის უბეს ისე წყდებოდეს,
რომ სიყვარულის მელნის ტბაში
არ ეწობოდეს.
პეპელას უნდა,
ვიდრე ფრთები გაუცვდებოდეს,
მზის ოქროს ძაფით
მაღლა-მაღლა გზას მიყვებოდეს,
რომ ცოდვილ მიწას
საუკუნოდ თავს ახსომებდეს...
და ადამიანს რაღას ჰყვედრი,
გული წყდებოდეს,
სიყვარულისგან უამბორო
თუკი კვდებოდეს,
ღმერთის ბოძებულს
თუკი კაცი ეცილებოდეს!
ყველაფერს უნდა,
სიყვარულად იწოდებოდეს.

გაზაფხულდა, საქართველო ნატვრა

გაზაფხულდა, საქართველო,
კვლავ ჯეჯილი აგღიმილდა,
ყურს საამოდ ეფინება
გუგულის ხმა გაღმის მხრიდან...
ღირდა მოთმინება ამად,
მოთმინება ამად ღირდა.
ზამთრის სუსხი,
ზამთრის ყინვა,
ზამთრის ქარი წელში გხრიდა,
სუყველა შენ გაყივნებდა,
აუგს პირს რა დაუღლიდა,
ზოგმა გკლა და
ზოგმა გძარცვა,
ზოგმა გსვა და
ზოგმა გღლიტა,
მაგრამ ღმერთმა არ გაგწირა
და სატანჯველს გამოგრიდა...
ღირდა მოთმინება ამად,
მოთმინება ამად ღირდა.
მიწაც გაქვს და
წყალიც გაქვს და
ეზოც გაქვს და
სახლიც გიდგას,
იხარებ და იძლიერებ
წამომდგარი სახმილიდან...
გაზაფხულდა, საქართველო,
კვლავ ჯეჯილი აგღიმილდა,
ცას ფრინველი შესევია,
ყვავილობა არის ხილთა...
ღირდა მოთმინება ამად,
მოთმინება ამად ღირდა!..

ნანა, საქართველოს მიწავ!
ნანა, საქართველოს მიწავ!
საქართველოს მთავ და ველო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო...
გაძრცვილი ხარ, გაცლილი ხარ,
ზვარში თითქო ქარებს ევლო.
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო...
სიზმარი თუ ტკბილი ნახე,
სცადე, რომე გაიგრძელო,
ცხადს ერიდე, ცხადი ჩვენ ვართ,
ცხადი ჩვენ ვართ, სანატრელო,
და განცხრომა გვირჩევნია,
გან თუ ბრძოლა სასახელო,
ნანა, საქართველოს მიწავ,
დაიძინე, საყვარელო...
ქარი დაგქრის, ქარი გხოკავს,
ფერი გადაცლია მდელოს,
მახვილს, შენზე გადმოქნეულს
შენივ შვილის ხელი ევლო,
ძილში მაინც დაისვენე,
ნუღა ბორგავ, სანატრელო...
ჯერ სვავები არ გამძღარან,
ჯერაც ისევ მგელი მგელობს,
ჯერეთ ძილი გირჩევნია,
დაიძინე, საყვარელო!
ქართლ-კახეთო, იმერეთო,
გურიავ და სამეგრელო,
ნუღარც ხმალი გელანდება,
ნუღარც ჩანგი სარუსთველო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საქართველო!

* * *

გუბეებში მოგროვილი წყალივითაა დღეს საქართველო.

* * *

ჰეი, საქართველო,
არ გახდები შენ ბოლო სიტყვა ქართულ წარმოთქმაში,
როგორც ხდებოდი ჟამთა აღრევაში,
დატყვევნაში, გადაფანტვაში.
მრავალჯერ ხარ დროებს გაცდენილი,
მრავალჯერ ხარ გამთლიანებული,
და, ჩამდგარი ვეფხვივით რუკაში,
ლექსთწყობაში,
ორივე ზღვაში...

* * *

ჰეი, საქართველო,
კარგი იქნებოდა, ერთ დილასაც ხმამ რომ გაგაღვიძოს:
– აღსდექ, ლაზარე!
წამოვდგებოდით თვალების ფშვნეტით
ხუთი მილიონი.
ჰეი, საქართველო,
სულ იყავი მზად ახალ დაბადებისთვის,
მაგრამ სულ გმტყუნობდნენ.

სისხლიანი პალტო მეცვა წითელ პარასკევსა

მზე ფანჯარას მოდგომოდა,
პირი უჩნდა დღესა,
გამიხარდა, მივეგებე
ნათელს, კარის მღესა -
სისხლიანი ლანდი იდგა
წითელ პარასკევსა.
ვთქვი, ავდგები, გზაზე გავალ,
რას ველოდო დღესა,
შევიმოსავ, რაც მემოსა
იმავ სამოსელსა -
სისხლიანი პალტო მეცვა,
წითელ პარასკევსა.
ტალახიანს მირჩევნია
სისხლიანი მყვესა,
ასე ყოფნას მირჩევნია
ტანჯვა შემემთხვესა -
გარეთ ლანდი რომ მელოდა,
წითელ პარასკევსა...

* * *

საქართველოში, თბილისში, დღეს, ახლა, ამწამიერსო,
ბრბოში, ქუჩაში, მეტროში, რას ვნახავ მე მშვენიერსო,
რაღაცა სახე დავლანდე, ვამსგავსე მე შენმიერსო,
საქართველოში, თბილისში, დღეს, ახლა, ამწამიერსო,
უბედურება რომ კონავს ყველას, მაძღარს და მშიერსო,
საქართველოში, თბილისში, დღეს, ახლა, ამწამიერსო,
რაღაცა სახე დავლანდე, ვამსგავსე მე შენმიერსო,
და სუნთქვამ ამოიყოლა, ნუთუ შენ აქ ხარ, იესო?

სიტყვების უქონლობის გამო

ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
ჩემთვის ისე ძნელი არის თავის აწევა,
ტელეფონთან მისვლა,
შენი ხმის გაგონება...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
რას გვშველის ჩვენ ეს საუბრები,
ძველი ფურცლები...
შეგონებები, დაწერილი ლამაზი ხელით,
წარსულის მითი
და ოდესღაც ნათქვამი ფიცი...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
განა, ჩიტს უკან უბრუნდება
თვისი სიმღერა?!
მე ავადა ვარ სისულელით, ჩემი ზნისაგან,
რადგან ყოველთვის, როგორც ოქრო, მეზოგებოდა
ჩემი თავი – ჩემივ თავისთვის...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
მე არა ვჩქარობ
დავეთხოვო ჩემს სისუსტეებს,
რადგან სანაცვლოდ
არვინ მომცემს უკეთესს, ვიცი,
და სიზმარსაც არა ვცვლი ცხადში...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
მე მომესაჯა სიცოცხლე და
მეც მშვიდად ვიხდი,
ზრუნვა და წყენა
კარის ზღურბლთან მელოდებიან
და მეც ვაპურებ,
მაგრამ განა მშვიდი ვარ მართლა?!
ცხოვრება ჩემი საქმე არ არის.
შენ ის დრო გახსოვს,
როს ისეთი ოცნება მქონდა,
ასრულება და ახდენა რომ არ სჭირდებოდა.
განა, ვუნდივარ
კვლავ გუბის წყლებს და ხეკაკუნებს?..
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
ეს შენა გსურდა
რომ პოეტი ვყოფილიყავი,
ეს შენ დამბადე მე პოეტად
და რომ იცოდე,
როგორი ძნელი რამ ყოფილა, რომ იქცე იმად,
რისთვისაც გაჩნდი,
რისთვისაც ხარ ამ ქვეყანაზე!
შენ ის დრო გახსოვს,
როცა შენი გულის საამოდ
ვუწერდი ლექსებს
ჩვენი ფანჯრის მეწამულ მთვარეს,
მაგრამ განა მე ის ლექსები გულს მიფონებდა?
მე ხომ ლექსი კი არ მინდოდა -
რამე ისეთი,
რომელიც ყველას ნუგეშსა და შვებას მოჰგვრიდა,
შურს იძიებდა კაცი რითაც ამ ცხოვრებაზე,
რითაც დაკარგულს შეივსებდა
და ცრემლს დაცლიდა...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!
მე ვწერ მშიერი ფურცლისათვის.
გინახავს, განა,
რომ ეჭვი ახლდეს
სარეცხ ფხვნილზე დაკრულ რეკლამას?
ჩემი საქმე კი ეჭვთან არის დაწყვილებული...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!
იმას ვცოტაობ, რომ ნერვები გამშიშვლებია,
და იმას ვნატრობ, რომ საერთოდ არ მქონდეს კანი,
რომ უფრო მძაფრად ვიგრძნო ქვეყნის ყველა წვრილმანი,
ყველა ნემსი, ყველა წამწამი...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!
განა, პოეტი არ შეჭამეს მისმა ლექსებმა?
რა მკვლელი უნდა იმას, მითხარ, რა მოშურნალი,
როს ლუკმა-ლუკმა
მიაქვთ ლექსებს მისი გულ-ღვიძლი...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
შენს დედურ სიბრძნეს დაკარგვია ერთი ფურცელი
და ვერ მპასუხობ, თუ ვინ მიმცა ოთხივ სტიქიას
და ლექსის წერა დამაკისრა მკაცრი პირობით:
რომ მწვანეზე არა ვთქვა – „მწვანე“...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!
მე დავიკარგე
მთელი ქვეყნის ყველა სახლისთვის,
ყველა გულისთვის,
ყველა მყუდრო ბალიშისათვის,
მე დავიკარგე და შორიდან ვხედავ ჩემს პერანგს,
უპატრონოდ ქარში დარჩენილს...
და ნუ დამეძებ, ნუღარ მანჯღრევ, მე ავადა ვარ,
ერთი დღე, ერთი წელიწადი, ერთი სიცოცხლე
ცოტა არიან იმისათვის, რომ სხვაგან ვიყო,
მე შენთანა ვარ, შენთან ვიყავ,
შენთან ვიქნები...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!

მოცვი გულსაც იცავს

ლონდონის სამეფო კოლეჯის სწავლულების ახალი კვლევების მიხედვით, მოცვი საიმედო დამხმარეა გულსისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად 200 გრამი მოცვის მიღება აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობას და აქვეითებს სისხლის წნევას. ეს ყველაფერი ერთად კი, 20%-ით ამცირებს გულის პრობლემების წარმოშობის რისკს. ასეთი დასკვნები სპეციალისტებმა 40 ჯანმრთელ ადამიანზე დაკვირვებისას გააკეთეს. მათი თქმით, თავისი მოქმედებით, ეს კენკრა ისეთივე ეფექტური შეიძლება იყოს, როგორც ექიმების გამოწერილი წნევის დამწევი წამლები. მოცვის სასიკეთო გავლენა მის შემადგენლობაში არსებული ანტოციანებითაა განპირობებული. სწორედ ის აძლევს მოცვს დამახასიათებელ ლურჯ შეფერილობას.

ყველაზე უცნაური მსოფლიო რეკორდები

გინესის რეკორდების წიგნში მოსახვედრად ყოველთვის არაა საჭირო იყო ყველაზე სწრაფი, მაღალი ან ძლიერი. ზოგჯერ საკმარისია, იყო მხოლოდ კრეატიული და დაუმტკიცო მსოფლიოს ის, რაც აქამდე ვერავინ მოიფიქრა. ამჯერად, სწორედ ასეთ რეკორდებს გთავაზობთ.

ანდრე ორტლოფი, გერმანიიდან, საკუთარ ჰობად ახალ-ახალი რეკოდების დამყარებას მიიჩნევს. მან უკვე გამოიჩინა თავი არაქისის პასტის ჭამით და სირბილის დროს სვიტრების ჩაცმით. მისი მორიგი რეკორდი ჟელეს ჭამაშია – ერთ წუთში, ორტლოფმა 716 გრამი ეს ტკბილეული ისე შეჭამა, რომ ხელები არ გამოუყენებია.

გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა უნიტაზი, რომელიც აარუმ შუმ შექმნა. ის სხვებისგან, სულ ცოტა, მისი ფასით გამოირჩევა – უნიტაზი 40 ათასი ბრილიანტითაა მორთული, გარდა ამისა, ის ოქროსია და ტყვიაგაუმტარია. რისთვის? – სჯობს, არ იკითხოთ...

ჩინელი ბაი დენჩუნგი რეკორდების წიგნში მიზანში მოხვედრის უნარის წყალობით მოხვდა – მან ერთ წუთში 17 საზამთროს გაურჭო სათამაშო კარტი (ბანქო). კონკურსის ძირითადი პირობის თანახმად, ბანქო საზამთროში გარჭობილი უნდა დარჩენილიყო. ჩინელმა ამ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

თურქ მეჰმეტ ოზიურეკს საერთოდ არაფრის გაკეთება დასჭირდა, რათა რეკორდსმენი გამხდარიყო – უბრალოდ, ყველაზე დიდი ცხვირით დაიბადა. მისი ყნოსვის ორგანოს რეკორდული სიგრძე 8.8 სანტიმეტრია. მებაღე ტონი გლოვერი კი რეკორდების წიგნში ხახვის წყალობით მოხვდა – მისი მოყვანილი ერთი თავი ხახვის წონამ 8 კილოგრამი შეადგინა. ეს აბსოლუტური რეკორდია.

ამერიკელი ჯონათან ლი რიჩარდსი, გენესის რეკორდების წიგნში სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობით მოხვდა – ერთი წლის განმავლობაში, მან თემიდას საჩივრით 4000-ჯერ მიმართა. იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც რიჩარდსი უჩიოდა, ბილ გეითსი და რომის პაპიც იყვნენ. აღსანიშნავია, რომ როცა ის გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, ამის გამო მან წიგნსაც კი უჩივლა.

დიაბეტიანებს ტეკილას ურჩევენ

ამერიკელი სწავლულები აცხადებენ, რომ ტეკილა კალორიების წვას უწყობს ხელს. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდნენ ამ სასმელის ზემოქმედებას სხვადასხვა ორგანოებზე და დაასკვნეს, რომ მისი მოხმარების შემდეგ, სისხლში შაქრის შემცველობა მცირდება. ამის მიზეზად, სწავლულები აგავას ბუნებრივ თვისებას ასახელებენ, რომელიც ტეკილას დამზადებისას, ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. სწავლულები კვლევებს მღრღნელებზე ატარებდნენ. ცხოველების ერთ ჯგუფს წყალში აგავას წვენს უმატებდნენ. ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ ამ ჯგუფის თაგვებს სისხლში შაქრის გაცილებით ნაკლები შემცველობა ჰქონდათ, ვიდრე მათ, რომლებსაც ჩვეულებრივ წყალს ასმევდნენ. ამასთან, იმ თაგვების ორგანიზმში, რომლებიც აგავას წვენს იღებდნენ, ჰორმონი GLP-1 წარმოიქმნებოდა – ის ორგანიზმს საკვებით დანაყრების დროს უხანგრძლივებს და ინსულინს გამოიმუშავებს. ამის გამო, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ტეკილა დიაბეტიანი ადამიანებისთვის სასარგებლოა და წონაში კლებასაც ხელს უწყობს.

თურქმენებს ბოტოქსიც აუკრძალეს

სხვადასხვა ქალაქებში, ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სილამაზის სალონებში დადიან, სადაც კოსმეტოლოგიურ მომსახურებასთან დაკავშირებით, ახალ აკრძალვებს აცნობენ ქალებსა და გოგონებს. აკრძალვის დარღვევის გამო, სალონების მფლობელებს მსხვილი ჯარიმა და 15-დღიანი პატიმრობა ელით. აკრძალვა კი ეხება ისეთ მომსახურებას, როგორიცაა ბოტოქსის ინექცია, სახეზე ნაოჭების გაქრობა, წამწამების დაგრძელება, ტუჩების გადიდება და შილაკიც კი. გარეგნობასთან დაკავშირებული აკრძალვები თურქმენეთში 2018 წლიდან მოქმედებს. უფრო კონკრეტულად, თურქმენ ქალბატონებს ეკრძალებათ მოკლე და შემოტკეცილი კაბების ტარება, კოსმეტიკის გამოყენება და თმის გაღიავება.

ტურისტებს ნაგავს ფოსტით დაუბრუნებენ



ტაილანდში მდებარე ეროვნული პარკის – კჰაუიაის თანამშრომლები ნაგავს დაუბრუნებენ იმ ტურისტებს, რომლებიც პარკის ტერიტორიას დააბინძურებენ. ამის შესახებ, ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრმა განაცხადა. ტურისტები ნაგავს ფოსტით მიიღებენ. პარკის თანამშრომლებმა წესრიგის დამრღვევები ადვილად რომ იპოვონ, ყველა მნახველი ვალდებულია, პარკში შესვლის წინ, საკუთარი მონაცემები მიუთითოს. მინისტრმა ერთ-ერთი ასეთი, გასაგზავნად გამზადებული ამანათიც წარადგინა, რომელსაც თან ერთვის ბარათი წარწერით:

„თქვენ, ეს, კჰაუიაის ნაციონალურ პარკში დაგრჩათ“. გარდა ამისა, ტურისტს ტერიტორიის დანაგვიანებისთვის, შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაეკისროს, რაც ხუთწლიან სასჯელს ნიშნავს. კჰაუიაი სიდიდთ მეორე პარკია ტაილანდში. აქ 320 სახეობის ფრინველი და 67 სახეობის ცხოველი ბინადრობს.

ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის გადაუხდიან

სინგაპურის მცხოვრებლებს, თუკი ისინი სწორად იკვებებიან და ამავდროულად, სპორტსაც მისდევენ, იცავენ ძილის რეჟიმს, შეუძლიათ, 280 დოლარამდე თანხა გამოიმუშაონ. ეს ჩაწერილია შეთანხმებაში, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებამ კომპანია Apple-თან დადო. აქცია ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება და მასში მონაწილეობა შეეძლებათ „აიფონებისა“ და Apple Watch-ის მფლობელებს. ისინი დარეგისტრირდებიან სპეციალურ პროგრამაში, რომელიც მათ ჯანმრთელ ჩვევებზე შეაგროვებს მონაცემებს. გარკვეული მაჩვენებლის მიღწევისას, პროგრამაში მონაწილეები ფულად ჯილდოს მიიღებენ.

იაპონიაში სოლო-ქორწილები მოდაშია

ამომავალი მზის ქვეყანაში ახალი გატაცება აქვთ – მარტოხელების ქორწილები. რამდენიმე წლის წინ, კიოტოში მდებარე ტურისტულმა სააგენტო Cerca Travel-მა, შეისწავლა რა, ეს ბაზარი და გააანალიზა დემოგრაფიული მონაცემები, ახალი მომსახურების შესახებ განაცხადი გააკეთა და ეგრეთ წოდებული, სოლო-ქორწილების ორგანიზება დაიწყეს. 320 ათასი იენის სანაცვლოდ, გასათხოვარ ქალებს, რომლებიც ოჯახის შექმნას საერთოდ არ აპირებენ ან ამას შორეული მომავლისთვის გეგმავენ, შეუძლიათ, ქორწილი მხოლოდ საკუთარი თავისთვის გადაიხადონ: ერთი დღით გახდნენ „პრინცესები“ ბავშვური ოცნებებიდან. ასეთი „პატარძლის პაკეტი“ მოიცავს ყველა ტრადიციულ ატრიბუტს, საქორწინო კაბას, პროფესიონალურ ფოტოსესიას და სასტუმროში ღამის (რასაკვირველია, მარტო) გატარებასაც კი. ამგვარი სოლო-ქორწილების კონცეფცია ტურისტული სააგენტოს თანამშრომელმა, ნაცუმი აკაიმ მოიფიქრა და თავადვე გახდა პირველი „პატარძალიც“. მას არ აკლია ყურადღება მამაკაცების მხრიდან, მაგრამ ოჯახური ცხოვრებით საერთოდ არაა დაინტერესებული.

„ამის გამო, რატომ უნდა ვთქვა უარი თეთრ კაბაში გამოპრანჭვაზე“, – აცხადებს აკაი. სერვისის ამოქმედებიდან დღემდე, იაპონიაში, უკვე უამრავი სოლო-ქორწილი შედგა და მისი პოპულარობა სულ უფრო მეტად იზრდება. ჩანს, კარგა ხანს, სააგენტოს კლიენტი არ მოაკლდება.

ფიქრებს გამოსახულებად აქცევს

ჰელსინკის უნივერსიტეტის სწავლულებმა ტვინისა და კომპიუტერის დამაკავშირებელი ინტერფეისი შექმნეს, რომელიც ადამიანის ფიქრებში არსებულ სურათებს რეალურ გამოსახულებად აქცევს. მკვლევართა განცხადებით, მათი შექმნილი ტექნოლოგია, შესაძლოა, ფსიქოლოგიასა და კოგნიტურ ნეირომეცნიერებაში დაინერგოს. ექსპერიმენტებისას, რომელშიც 31 მოხალისე მონაწილეობდა, მოწყობილობამ მათ ფიქრებში არსებული სახეების ამოცნობა და მათი მიხედვით გამოსახულებების შედგენა შეძლო. ისინი 83%-ით ზუსტი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ინტერფეისები მეცნიერებს ადრეც შეუქმნიათ. ისინი კომპიუტერსა და ტვინს შორის მხოლოდ ცალმხრივი კომუნიკაციის საშუალებას იძლეოდნენ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ხელოვნურმა ინტელექტმა ფიქრებში არსებული სურათების ამოცნობასთან ერთად, მათ ინტერპრეტაციასა და ხორცშესხმასაც წარმატებით გაართვა თავი.

თვითმწმენდი ხალიჩა იაპონელებისგან

იაპონურმა კომპანიამ Paionia Furyokuki, რომელიც სხვადასხვა ეკოლოგიური მოწყობილობების წარმოებითაა ცნობილი, ცოტა ხნის წინ, უნიკალური ხალიჩა-მტვერსასრუტი შექმნა. მასზე გავლის დროს, ხალიჩა ფეხსაცმლის ძირიდან ისრუტავს მტვერს და საკუთარ ზედაპირსაც ავტომატურად ისუფთავებს. საფენი, რომლის სისქეც 30 სანტიმეტრია, პატარა მემბრანებითაა დაფარული. ისინი წონის ზემოქმედებაზე რაგირებენ და მტვრისა და ჭუჭყისგან ასუფთავებენ ზედაპირს. ადამიანის მიახლოებას ხალიჩა სპეციალური სენსორების საშუალებით აფიქსირებს. მტვერი ხალიჩაში ჩამონტაჟებულ, ერთგვარ კონტეინერებში გროვდება, რომლებიც გავსების შემდეგ უნდა დაცარიელდეს. მწარმოებლების გათვლებით, ამ ინოვაციური ხალიჩით, სავაჭრო და საოფისე ცენრების მფლობელები დაინტერესდებიან. საფენი დამატებით არანაირ მოწყობილობას არ საჭიროებს. კომპანია მომხმარებელს სხვადასხვა ფორმის ხალიჩა-მტვერსასრუტს სთავაზობს, თუმცა ნებისმიერი მათგანი 500 ათასი იენი (6 250 დოლარი) ეღირება.

მთვარეული ძილში ვაჭრობს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები, 37 წლის კელი სნაიპსი ამტკიცებს, რომ ძილის ეშინია, რადგან მეტად უჩვეულო ფორმის მთვარეულია. ძილის დროს, კელი ინტერნეტით უცნაურ და ექსტრავაგანტულ ნივთებს ყიდულობს – მაგალითად, კალათბურთის მოედნის აღჭურვილობას. მთლიანობაში, კელიმ ძილში ვაჭრობისას, დაახლოებით, 3 ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა ისეთ ნივთებზე, როგორებიცაა საღებავის ქილები, მასწავლებლებისთვის განკუთვნილი წიგნები, ქვაბები, კილოგრამობით შოკოლადის დათუნიები. სნაიპსის თქმით, ის მთვარეულია ბავშვობიდან, თუმცა დაავადება განსაკუთრებით გამწვავდა პირველი ფეხმძიმობისას. კელი ძილში ტელეფონის მეშვეობით ვაჭრობს, სადაც უკვე შეყვანილია საკრედიტო ბარათების მონაცემები და ყიდვა ავტომატურად ხდება. ამის გამო, ქალი ვალებში ჩაეფლო. მედიკოსებმა მას ობსტრუქციული აპნოეს დიაგნოზი დაუსვეს. გაირკვა, რომ ერთ ღამეს კელის სუნთქვა 122-ჯერ (!) გაუჩერდა. სნაიპსი ახლა მკურნალობის კურსს გადის და თავს გაცილებით უკეთ გრძნობს.

ტკბილეულის გაყიდვა აკრძალეს

აშშ-ში, ქალაქი ბერკლი პირველი იქნება ქვეყანაში, სადაც სუპერმარკეტების სალაროებთან, ტკბილეულისა და მავნე პროდუქტების გაყიდვას აკრძალავენ. ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით, კანფეტების, ტკბილი გაზიანი სასმელებისა და სხვა მაღალკალორიული პროდუქტების ნაცვლად, მყიდველები სალაროსთან ახლოს, ახალ ხილს ნახავენ. ეს დადგენილება ბერკლის 25-ზე მეტ სუპერმარკეტში იმოქმედებს.

ეს პროდუქტები ბავშვების თვალის სიმაღლეზე აღარ განთავსდება და როცა სალაროსთან გრძელ რიგში დადგებით, მას ვეღარ დაინახავთ, – აცხადებენ ქალაქის საბჭოს წარმომადგენლები. მათივე განცხადებით, ეს გადაწყვეტილება არც სასჯელია და არც ბრძოლა ტკბილეულთან, ეს უფრო, მავნე ჩვევებზე უარი გახლავთ. ბერკლი იყო ასევე აშშ-ში ნოვატორი ქალაქი, სადაც გაზიან სასმელებზე გადასახადი დააწესეს.

ჰაერს "ჭკვიანი ხეები" გაწმენდენ

ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რუმინეთში, ეგრეთ წოდებულ, „ჭკვიან ხეებს“ გააშენებენ. ეს მოწყობილობები ატმოსფეროს ხარისხს საგრძნობლად გააუმჯობესებს. City Tree ანუ „ქალაქის ხე“ – მაღალტექნოლოგიური ფილტრია, რომელიც ხელოვნური უჯრედების დახმარებით წმენდს ჰაერს და მტვრის ნაწილაკებისგან ფილტრავს. ეს ფილტრები კვადრატული ფორმის მოდულზეა განთავსებული. ერთ ასეთ „ჭკვიან ხეს“, ერთი საათის განმავლობაში, იმდენი ჰაერის გაწმენდა შეუძლია, რაც 7 ათასი ადამიანისთვის არის საკმარისი. გარდა ამისა, მოწყობილობა ქალაქის ხმაურსაც ახშობს და ზაფხულში ცხელი ჰაერის 2.5 გრადუსით გაგრილებაც შეუძლია. მსგავსი ტექნოლოგია ევროპის რამდენიმე ქალაქში უკვე მოქმედებს, მაგალითად, ბერლინში. დასაწყისისთვის, რუმინეთის ქალაქ იაშში 10 მოდულის დამონტაჟება იგეგმება, მომავალში კი მათი რაოდენობა აუცილებლად გაიზრდება.

ხრწნად პლასტმასს შექმნიან

ხრწნადი პლასტმასი, შესაძლოა, არსებული მასალის ალტერნატივად იქცეს. სწავლულები ისრაელიდან მუშაობენ იმ მიკროორგანიზმებიდან მიღებულ პოლიმერზე, რომლებიც ზღვაში ბინადობენ. ეს პოლიმერები მიკროორგანიზმებისგან იქმნება, რომელიც შემდგომ საკვებად იქცევა, რადგან ზღვის წყალმცენარეებს წარმოადგენენ, – აცხადებენ მკვლევარები. ეს მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ ტანსაცმლის, კონტეინერების და საკვები პროდუქტების შესაფუთი მასალის დასამზადებლად. სწავლულთა თქმით, ბიოპლასტმასის წარმოება საკმაოდ იაფი იქნება – კილოგრამი დაახლოებით ერთი დოლარი დაჯდება.

კანფეტები ჯანმრთელობის სადარაჯოზე

გერმანელმა სწავლულებმა მიუნჰენის დაბერებასთან ბრძოლის ინსტიტუტიდან, „ახალგაზრდობისა და ბედნიერების კანფეტები“ შექმნეს. ტკბილეულის შემადგენლობაში მხოლოს ნატურალური ინგრედიენტებია – შავი შოკოლადი, მანგოს პიურე, სოიოს რძე, ჩირები. მეცნიერთა თქმით, კაკაოს მარცვლები მდიდარია ფენილეთილამინით და პოლიფენოლებით, რაც დადებით გავლენას ახდენს არტერიულ წნევაზე. ფენილეთილამინი – ქიმიური ნაერთია, რომელიც სტიმულატორად მოქმედებს უჯრედებზე, პოლიფენოლები კი, როგორც ცნობილია, უჯრედებს იცავს თავისუფალი რადიკალებისგან, რომლებიც ორგანიზმის დაბერებას იწვევენ.

პოლიფენოლები პოზიტიურ გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე მენოპაუზის დროს, მამაკაცებში კი წინამდებარე ჯირკვლის პრობლემებს აღკვეთს. მანგოს ნაყოფი, თავის მხრივ, ენზიმებს შეიცავს, რომელიც აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას და აფერხებს ანთებით პროცესებს. ხილის ჩირი, რომელიც ახალი კანფეტების შემადგენლობაშია, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გამართულ მუშაობას.

სუპერ-აბი განწყობის ასამაღლებლად

მელბურნის უნივერსიტეტის თანამშრომლები სუპერ-აბის კლინიკურ ცდებს ატარებენ, რომელსაც ადამიანის განწყობის გამოკეთება შეუძლია. აბის შემადგენლობაში შედის ხუთი ბუნებრივი დანამატი. ეს პერპარატი მათ დასახმარებლადაა განკუთვნილი, რომლებსაც ანტიდეპრესანტები არ შველით. ის სხვადასხვა ნაერთს შეიცავს, ასევე თუთიას და ფოლიუმის მჟავას. თუმცა, მთლიანობაში, აბი ანტიდეპრესანტი არაა და მისი გაყიდვა ურეცეპტოდაც იქნება შესაძლებელი. ეს ახალი საშუალება, ტრადიციული დამაწყნარებლებისგან განსხვავებით, არ არის მიმართული გარკვეული მექანიზმისკენ. პრეპარატი ზემოქმედებს მთელ რიგ ნეირობიოლოგიურ პროცესებზე. თუთია და ომეგა-3 ანთებას ხსნის. არის ვერსია, რომ დეპრესიას სწორედ ანთება იწვევს და ამიტომ ავსტრალიელი სწავლულები დარწმუნებულნი არიან, მათი სუპერ-აბი ანტიდეპრესანტებზე გაცილებით ეფექტიანი იქნება.

საკეისრო აუტიზმის რისკს ზრდის?

საკეისრო კვეთა ბავშვებში აუტიზმის განვითარების რისკს ზრდის – ასეთ დასკვნების აკეთებენ შვედი სპეციალისტები, კაროლინის ინსტიტუტიდან. მათ კვლევაში, მსოფლუის 19 ქვეყნიდან, დაახლოებით, 20 მილიონი ქალი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ისინი, რომლებმაც ბუნებრივად იმშობიარეს და ისინიც, რომლებმაც ქირურგების ჩარევით გააჩინეს ბავშვი. აღმოჩნდა, რომ ბავშვებში, რომლებიც ხელოვნური ჩარევით მოევლინენ ქვეყანას, 33%-ით მეტი აუტისტია. გარდა ამისა, მათ შორის, 17%-ით უფრო ხშირად გვხვდება ყურადღების დეფიციტის სინდრომი და ჰიპერაქტიურობა. სწავლულთა მოსაზრებით, ეს შესაძლოა, უკავშირდებოდეს ახალშობილის კონტაქტს დედის მიკროფლორასთან, რაც ბუნებრივი მშობიარობისას ხდება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამის გამო, შესაძლოა, დაირღვეს პატარას იმუნური სისტემის განვითარება და ნეგატიურად აისახოს ტვინის მუშაობაზე.

ტურისტებს ციხეში ჩაჯდომას სთავაზობენ



დიდ ბრიტანეთში, ტურისტებს ერთი დღით პატიმრობას სთავაზობენ. ტური მსურველებს ციხის ცხოვრების „შიგნიდან“ გაცნობას სთავაზობს და სომერსეტის საგრაფოშიო მდებარე შეპტონ-მოლეტის ციხეში, გისოსებს მიღმა დარჩენას ურჩევს. ამ უჩვეულო ტურის ღირებულება 49 ფუნტი სტერლინგია. მასში შედის კვება, პატიმრისთვის გათვალისწინებული მენიუთი და ღამისთევა ერთადგილიან კამერაში. შეპტინ მოლეტი ყველაზე ცნობილია ციხეა ნისლიან ალბიონზე. აქ ადრე ყველაზე საშიშ დამნაშავეებს ამწყვდევდნენ. პირველი პატიმრები ციხემ ჯერ კიდევ 1626 წელს მიიღო. 2013 წელს, დაწესებულება დაიხურა და ტურისტულ ცენტრად გადაკეთდა.

პომიდვრის წვენი წნევას არეგულირებს

ტომატის წვენის წყალობით, შესაძლებელია, არტერიული წნევის დაქვეითება და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკის შემცირება, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონელი სწავლულები. მათ კვლევებში 500-ზე მეტი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ერთი წლის განმავლობაში ისინი ტომატის წვენს იღებდნენ მარილის გარეშე. აღმოჩნდა, რომ მათგან 100-მდე მოხალისეს, რომელტაც ჰიპერტონია ჰქონდათ, მნიშვნელოვნად დაურეგულირდათ წნევა. გარდა ამისა, სპეციალისტებმა ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ ექსპერიმენტში მონაწილეებს სისხლში ქოლესტერინის გადამტანი ლიპოპროტეინების დონეც შეუმცირდათ.

ყველაზე მწარე ღვინოს გაყიდიან

ესპანურმა კომპანიამ Gik Live, რომელიც თავისი უჩვეულო ღვინოებითაა ცნობილი, მომხმარებლებს მორიგი ექსკლუზიური სიახლე წარუდგინა. სასმელი, რომელსაც Bastarde უწოდეს, მსოფლიოში ყველაზე მწარე ღვინოა. ის Grenache-ს ჯიშის წითელი ყურძნისა და „ჰაბანეროს“ ჯიშის წიწაკა ჩილისგან არის დამზადებული. თითო ბოთლ ღვინოს, დაახლოებით, 125 გრამი წიწაკა ემატება. მწარმოებლების თქმით, მათი მიზანი ისეთი ღვინის შექმნა იყო, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტად გამბედავი ადამიანები გასინჯავდნენ. სასმელი შავი ფერის ბოთლებშია ჩამოსხმული და ონლაინ-მაღაზიებში იყიდება. მისი ფასი 11-დან 13 ევრომდეა. კომპანია ამ ღვინის ექსპორტს ისეთ ქვეყნებში აპირებს, სადაც პოპულარულია მწარე კერძები, მაგალითად, ინდოეთში, კორეაში, ვიეტნამსა და მექსიკაში.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.